პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 133 (11137) | პარასკევი, 13 ივნისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ქიმიურ საწარმოთა მშენებლობა საერთო-სახალხო საქმეა!

„პრავდის“ 12-VI მოწინავე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დაამტკიცა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ვრცელი პროგრამა, რომელმაც მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე მხარდაჭერა პოვა.

ამ პროგრამის განხორციელებაში დიდი და საპატიო როლი ეკუთვნით მშენებლებს. გათვალისწინებულია 1965 წლის ბოლოსათვის 1957 წელთან შედარებით ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოების სიმძლავრენი გადიდდეს 4,6-ჯერ, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისებისა — 8-ჯერ, სინთეზური კაუჩუკისა — 3,4-ჯერ. ამისათვის 1958-1965 წლებში ქიმიურ მრეწველობასა და მომიჯნავე დარგებში უნდა აშენდეს და რეკონსტრუირებულ იქნას 257 საწარმო. მომავალ სამუშაოთა კოლოსალურ მასშტაბს მოწმობს ის ფაქტი, რომ კაპიტალური მშენებლობისათვის, რომელიც დაკავშირებულია ქიმიური ინდუსტრიის განვითარებასთან, გამოყოფილია ას მილიარდ მანეთზე მეტი.

სინთეზური ბოჭკოების, პლასტიკური მასების, სინთეზური კაუჩუკისა და სხვა მასალების ახალი ქარხნები შეიქმნება უმთავრესად იმ რაიონებში, სადაც განვითარებულია ნავთობის, ნავთობგადამამუშავებელი და ქიმიური მრეწველობა, რომელთაც აქვთ ყველაზე ძვირფასი და იაფი ნედლეული — ნავთობისა და ბუნებრივი გაზი, კოქსქიმიური და გაზ-ტორფ-ფიქლის წარმოების პროდუქტები. ასეთი ნედლეულის რესურსები ყველაზე მეტი რაოდენობით აქვთ რუსეთის ფედერაციას, უკრაინას, აზერბაიჯანსა და უზბეკეთს. უწინარეს ყოვლისა სწორედ აქ გაჩაღდება ბევრი დიდი ქარხნის მშენებლობა.

უკვე წელს ქიმიურ საწარმოთა მშენებლებმა უნდა აითვისონ 68 პროცეხტით მეტი სახსრები, ვიდრე გასულ წელს. კაპიტალდაბანდების ზრდის მაღალი ტემპი დასახულია შემდგომი წლებისთვისაც. იმისათვის, რომ თავი გავართვათ სამუშაოთა ესოდენ უდიდეს მოცულობას, საჭიროა დიდი დაძაბულობა და გულდასმით მომზადება.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა მიაჩნიათ პირველი რიგის, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდნენ, რომ სინთეზური მასალებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების დაჩქარებული განვითარების დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მშენებლობის სწორ ორგანიზაციასა და იმ ყურადღებაზე, რომელსაც მშენებლობათა, სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, პარტიული ორგანოები დაუთმობენ ქიმიური მრეწველობის ახალი საწარმოების აგებასა და მოქმედი საწარმოების გაფართოებას.

ხელმძღვანელობენ რა ამ მითითებებით, ბევრმა სახალხო მეურნეობის საბჭომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გააძლიერეს დახმარება ქიმიური ინდუსტრიის მშენებლობებისადმი, აუმჯობესებენ მშენებელთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას. ქიმიური ქარხნების მშენებლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილების პასუხად კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, უფრო აქტიურად იწყებენ შრომის პროგრესული, მოწინავე მეთოდების დანერგვას, მტკიცედ იცილებენ თავიდან მუშაობის ნაკლოვანებებს.

მაგალითად, კუიბიშევის ოლქში ქიმიური ახალმშენებლობანი გამოცხადებულია დამკვრელ და პირველი რიგის მშენებლობებად. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაიწინაურონ ჩამორჩენილი უბნები, ისწრაფვიან ფართოდ გაავრცელონ ნოვოკუიბიშევის სინთეზური სპირტის ქარხნის მშენებელთა შესანიშნავი გამოცდილება, რომლებმაც ვადაზე ერთი წლით ადრე აამუშავეს საწარმოს პირველი რიგი. საოლქო გაზეთმა „ვოლჟსკაია კომუნამ“ ქიმიური ინდუსტრიის დამკვრელ მშენებლობებზე მოაწყო მუშა კორესპონდენტთა პოსტები და სისტემატურად ბეჭდავს მათგან მიღებულ ცნობებს, სიგნალებს, კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ დასახული პროგრამის განხორციელებაში დიდი წვლილი შეაქვს კომკავშირს. მან იკისრა შეფობა ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაზე და გადაწყვიტა ამ მშენებლობებზე გაგზავნოს ახალგაზრდა ენთუზიასტების ახალი რაზმები. კომკავშირული შეფობის შედეგები უკვე საგრძნობია სუმგაიტის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის, ჩერნიგოვისა და რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნების და ქიმიური მრეწველობის ბევრი სხვა საწარმოს მშენებლობაზე.

ამ ცოტა ხნის წინათ სუმგაიტის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა იკისრეს დიდი სოციალისტური ვალდებულებანი — წელს ვადამდე დაამთავრონ საწარმოს მეორე რიგის ჩვიდმეტი ობიექტის მშენებლობა და მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების იმ დონეს, რომელიც დაგეგმილია 1959 წლის ბოლოსათვის, დაზოგონ 1,4 მილიონი მანეთი, გააფართოონ ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება. მათ მიმართეს ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ყველა ახალგაზრდა მშენებელსა და მემონტაჟეს მოწოდებით დადგნენ დამკვრელ კომკავშირულ ვახტზე, იბრძოლონ სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და ახალი ქიმიური ობიექტების ვადამდე ამუშავებისათვის. ეს მოწოდება ყველგან მხურვალე გამოხმაურებას პოვებს.

მაგრამ ყოველივე ეს დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდნენ, რომ უკანასკნელ დრომდე იყო ქიმიური მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოების სერიოზული შეუფასებლობა. სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის საქმოდ არ გამოყოფდნენ ასიგნებებს, და მათი ათვისება, როგორც წესი, სრულად არ ხდებოდა. ქიმიური საწარმოების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სათანადოდ შეუფასებლობამ ამ მშენებლობებზე გამოიწვია დიდი ნაკლოვანებანი, რომელთა გადაჭრით აღმოფხვრა მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და ენერგიულ მოქმედებას მოითხოვს.

ავიღოთ, მაგალითად, ბაშკირეთი. ეს რესპუბლიკა უახლოეს წლებში უნდა გახდეს ქიმიური მრეწველობის დიდი ცენტრი. ახალი ქიმიური საწარმოების მშენებლობა და მოქმედი საწარმოების გაფართოება კი აქ, როგორც პარტიული აქტივის კრებაზე აღნიშნავდნენ, დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს. მაგალითად, № 21 ტრესტის მშენებლებმა უფის სინთეზური სპირტის ქარხნის ობიექტების მშენებლობაზე მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა შეასრულეს სანახევროდ და ცოტა მეტად, ხოლო მაისის გეგმა — ამაზე ნაკლებ. მთლიანად რესპუბლიკაში წელს პირველ ოთხ თვეში ქიმიური საწარმოების მშენებლობის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 87 პროცენტით. უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს აკლიათ მუშახელი და საშენი მასალები, დაგვიანებით იღებენ ტექნიკურ დოკუმენტაციასა და მოწყობილობას.

მდგომარეობა უკეთესი არ არის არც პერმის ოლქში. აქ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობაში კაპიტალდაბანდების ოთხი თვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 60 პროცენტით. განსაკუთრებით ნელა შენდება გუბახის ქიმიური ქარხნის მეორე რიგი. მთელ რიგ ასამუშავებელ ობიექტებზე არ არის ტექნიკური დოკუმენტაცია, გადაჭრილი არ არის ლითონით, მილებით, რელსებით, არმატურით, კაბელით მშენებლობათა მომარაგების საკითხები. ზოგიერთი საშენებლო სამმართველო და უბანი დაკომპლექტებული არ არის მუშახელით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ხშირად ფერხდება მოწყობილობის დროზე მიუღებლობის გამო.

იმისათვის, რომ მკვეთრად შემცირდეს ახალი ქიმიური ქარხნების მშენებლობისა და მოქმედი ქარხნების გაფართოების ვადები, საჭიროა ამ სამუშაოზე გადავიყვანოთ ძლიერი სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტები და სამართველოები. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უნდა განმტკიცონ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, გააძლიერონ მათი საწარმოო ბაზა, მოამარაგონ სამშენებლო მექანიზმებით და სატრანსპორტო სახსრებით, დაკომპლექტონ მუშების, ტექნიკოსების ინჟინრების კადრებით.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქიმიურ ახალმშენებლობებზე კომპლექტურად აწვდიდნენ მოწყობილობას. ეს შესაძლებელს გახდის შემცირდეს მშენებლობის ვადები, გაიაფდეს სამუშაოთა ღირებულება, შემცირდეს დანაკარგი. საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ქიმიური ქარხნების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავება.

ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა მუდამ უნდა იყოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დარაზმონ მშენებლობათა კოლექტივები დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა მშენებლებთა შორის, აღკვეთონ იმ სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები, რომლებიც გამოყოფილია ქიმიური ინდუსტრიის განვითარებისათვის.

ქიმიური მრეწველობის საწარმოთა უსწრაფესი აგება დიდი, საერთო-სახალხო საქმეა!

ნეპალის მეფისა და დედოფლის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

სტალინგრადი, 11 ივნისი. (საკ. სა). დღეს ღამის პირველ ნახევარში სტალინგრადიდან სოჭში გაფრინდნენ ნეპალის მეფე მაჰენდრა ბირ ბიჭრამ შაჰ დევა და დედოფალი რატნა რაჯია ლაქშმი დევი შაჰი და მათი თანმხლები პირები. ეროდრომზე მეფე-დედოფლის პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ნეპალისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ბავშვებმა მეფესა და მის მეუღლეს ყვავილების თაიგული მიართვეს.

სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვ. შჩიპანინმა და ნეპალის მეფემ სიტყვები წარმოთქვეს.

სოჭი, 11 ივნისი. (საკ. სა). დღეს სტალინგრადიდან სოჭში ჩამოვიდნენ ნეპალის მეფე და დედოფალი და მათი თანმხლები პირები.

მოკლე ხნის დასვენების შემდეგ საპატიო სტუმრები ავჯნენ სანადაო და რკინიგზის ეკაზლებში, დაათვალიერეს კურორტის პარკი „რივიერა“. ნეპალის მეფესა და დედოფალს გულთბილად და გულითადად მიესალმებოდნენ მოქალაქენი და კურორტზე დამსვენებელნი.

მხარი დავუჭიროთ საგარეჯოელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა პაჭრიოტულ თაოსნობას



სურათზე: უყვარლის რაიონის ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინის ბუნკერიდან ქერის გადმოცლა აგრეგატის სვლის დროს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

★

ჰექტარზე 600 ცენტნერი სიმინდის გწვანე მასა

გურჯაანელმა კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის მტკიცე ბაზის შექმნისათვის, თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის ათ სამუშაო დღეში სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ალაზნის ველზე სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის ტექნიკით 60 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი სიმინდი კარგად არის მოვლილი. გუშინ აქ მესამე თოხნა დაამთავრეს.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს კოლმეურნეებმა ი. გიორგაძემ, გ. ბუეკაშვილმა, ს. მუნჯიშვილმა, ლ. გიაშვილმა, ნ. გოისაშვილმა.

— საგარეჯოელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა თაოსნობის პასუხად, — განაცხადა კოლმეურნე მ. მაჭავარიანმა, — პირობას ვდებ ჰექტარზე მივიღო 60 ცენტნერი სიმინდი.

წელს საკოლმეურნეო ტექნიკით, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ნიბლაძე, — პირველად დავთესეთ სიმინდი 40 ჰექტარზე სასილოსედ. საგარეჯოელთა და ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად პირობას ვიძლევით საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 600 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა ტაროიანად. **(სპეც. კორ.).**

მეცხოველეობის მეჯი პროდუქციისათვის

საგარეჯოელ კოლმეურნეთა მოწოდებას საქმით გამოეხმაურნენ გარდაბნელი კოლმეურნეები. სოფელ ახალი ულიანოვკის „ისკრის“ სახელობის კოლმეურნეობის მეკინდვრეობის ბრიგადირმა მ. მახძულაშვილმა ვალდებულება აიღო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 450 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.

ბრიგადის წევრებმა ნიადაგი კარგად დაამუშავეს. თესვის წინ ჰექტარზე 600 კილოგრამი გვარჯილა და სუფერფოსფატი შეიტანეს. ნაკვეთი მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს. თესვის შემდეგ დამატებით შეიტანეს სუფერფოსფატი. ორმხრივი კულტივაციის შემდეგ საგულდაგულოდ გათოხნეს.

ბრიგადაში მომუშავე 24 კოლმეურნე ერთმანეთს ეჯიბრება და თავგამოდებით იბრძვის მაღალი მოსავლისათვის. ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ჯერჯერობით მარიამ ელიზბარაშვილი და ენენა ამირჯანოვი იძლევიან.

(სპეც. კორ.).

ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრებმა საგარეჯოელთა მიმართვის პასუხად ვალდებულება იკისრეს 190 ჰექტარი სიმინდის ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 35 ცენტნერი მარცვლად. ამისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი. ადრე გაზაფხულიდანვე სოფლის მშრომელებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს სიმინდის თესვის მაღალხარისხოვნად და შემჭიდროებულ ვადებში შესრულებისათვის. კოლმეურნეობამ შეიძინა სამი ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რაც საშუალებას აძლევს მას ჩქარი ტემპით აწარმოოს საგაზაფხულო სამუშაოები. სიმინდის თესვაში დაწინაურდა მესამე ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. კიკორია), რომელმაც დავალება ვადაზე ადრე წარმატებით გაანაღდა.

საგარეჯოელთა ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სოფელ ფოქვეშის კოლმეურნეობა „კომუნისტმა“. კოლმეურნეებს ნაკისრი აქვთ 165 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 21 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 360 ცენტნერი მწვანე მასა. ამ ვალდებულების შესრულებით კოლმეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება მეცხოველეობისათვის სიმინდის წვნიანი სილოსით, აგრეთვე კონცენტრირებული და უხეში საკვებით.

კოლმეურნეების, ბრიგადებისა და რგოლების მატერიალური დაინტერესების მიზნით გადაწყვეტილია დამატებითი ანაზღაურების სახით გასცენ გეგმის ზევით მიღებული პროდუქციის 50 პროცენტი. **(საკ. კორ.).**

ყარსუბნელ კოლმეურნეთა პასუხი

კოლმეურნეობის საერთო კრებაზე გულდასმით გავეცანით კურსკის ოლქისა და საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვებს სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობის გადიდების შესახებ.

სიმინდი წელს 165 ჰექტარზე გვითესია. მოწინავე გამოცდილების გაზიარებითა და აგროტექნიკის ფართოდ გამოყენებით სანიმუშოდ ვუვლით ნათესებს. თესვის წინ ნიადაგში შევიტანეთ სასუქი. უკვე ჩავატარეთ პირველი კულტივაცია და თოხნა. ახლა მიმდინარეობს მეორე კულტივაცია. ამ სამუშაოში ვიყენებთ საკუთარ მძლავრ ტექნიკას. კოლმეურნე მექანიზატორები შეუფერხებლად ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და თავდადებით იბრძვიან სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ჩვენი ვალდებულებაა თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 70 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო ცალკეულმა ბრიგადებმა უფრო მაღალი მოსავლის მიღება იკისრეს.

ნაწვერალზე წელს 350 ჰექტარ ფართობზე დავთესავთ სიმინდს. კურსკელთა და საგარეჯოელთა მაგალითისამებრ თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 400 ცენტნერ მწვანე მასას ტაროებიანად.

თვითეული ძროხისათვის ჩავდებთ 12 ტონაზე მეტ სიმინდის სილოსს.

ფ. ხუციშვილი,

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადაეცა არგენტინის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს მწერალ მარია როსა ოლივერს

გუენოს-აირესი, 11 ივნისი. (საკ. სა). გუშინ აქ საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადაეცა არგენტინის საზოგადო მოღვაწეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს მწერალ მარია როსა ოლივერს.

მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლის მისასალმებლად მოვიდნენ არგენტინის მწერლები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

არგენტინელი მწერლის კუსანოს შესავალი სიტყვის შემდეგ გამოქვეყნდა მრავალი მისალოცი დეპეშა, რომლებიც მარია როსა ოლივერის სახელზე მოვიდა.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სახელით მარია როსა ოლივერს მიესალმა საბჭოთა მწერალი ბორის პოლევოი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში პოლევოიმ მარია როსა ოლივერს გადასცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი და დიპლომი.

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა მარია როსა ოლივერმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მაღალი ჯილდოს ღირსი მისი სახით გახდა არგენტინელი ხალხი, რომელიც მშვიდობისათვის იბრძვის. მარია როსა ოლივერმა გამოთქვა მშვიდობისათვის მებრძოლთა მისწრაფება თავიდან აიცილონ ახალი ომი და მსოფლიოს საზოგადოებრიობას მოუწოდა მიაღწიოს ყველა ქვეყნის მშვიდობიან თანამშრომლობას, მეგობრულ შეჯიბრებას.

ДЕДАМИНის მესამე ხელოვნური თანამგზავრი თბილისის ცაზე

13 ივნისს დილის 5 საათისათვის თბილისის დროით დედამიწის მესამე ხელოვნურმა თანამგზავრმა 389-ჯერ შემოუარა პლანეტას, ხოლო მისმა მატარებელმა რაკეტამ — თითქმის 391-ჯერ.

როგორც ცნობილია, გაშვების მომენტიდან მესამე თანამგზავრის და მისი მატარებელი რაკეტის დანახვა თბილისიდან მხოლოდ 16 და 17 მაისს საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ შეიძლებოდა. სხვა დროს, მიუხედავად იმისა, რომ თანამგზავრი დღეში ორჯერ მაინც გადიოდა თბილისის ჰორიზონტზე, მისი დანახვა შეუძლებელი იყო, რადგან იგი გადიოდა ან დღისით ან ღამით. თანამგზავრის დანახვისათვის კი აუცილებელია, რომ იგი განათებული იყოს მზის სხივებით, რაც ხდება დილით მზის ამოსვლამდე ან ხალამოს მზის ჩასვლის შემდეგ. ასეთი პირობები უკანასკნელ ხანებში მხოლოდ დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში იყო.

14 ივნისს დილის 4 საათსა და 35 წუთზე თბილისის დროით მატარებელი რაკეტა გამოჩნდება თბილისის სამხრეთით. ჰორიზონტიდან მისი კუთხური ამაღლება იქნება 12 გრადუსი. მაქსიმალური კუთხური ამაღლება ჰორიზონტიდან 27 გრადუსს მიაღწევს 4 საათზე და 37 წუთზე თბილისის მამართულებით. შეუიარაღებელი თვალით რაკეტა დაინახება მოძრავი კაშკაშა მოწითალო ვარსკვლავის სახით.

მატარებელ რაკეტაზე დაკვირვების პირობები თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში უფრო კარგი იქნება, ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში — რამდენადმე უარესი.

გ. კვირკველია.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვების საადგილის უფროსი.

(საქდესი).

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში

11 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომა, რომელზეც მოხსენება ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკის“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა.

სხდომაზე აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მუშათა კლასის ბრძოლის ყველა ეტაპზე ფასდაუდებელ დახმარებას უწევს სამხატვრო ინტელიგენციას მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძველზე მისი იდეურ-მხატვრული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. კომუნისტური პარტია მუდამ ეხმარება ინტელიგენციას მონახოს თავისი ღირსეული ადგილი კომუნისტურ მშენებლობაში.

სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა დ. კაბალევსკიმ, ს. ლემეშევმა, ა. ნოვიკოვმა, ა. სვეშნიკოვმა, ა. ხაჩატურიანმა, დ. შოსტაკოვიჩმა და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის მიზანია ცალკეული კომპოზიტორების შემოქმედებისა და მუსიკალურ ნაწარმოებთა შეფასებაში შეცდომების გასწორება. ხაზგასმით აღნიშნეს რა, რომ 1946-1948 წლებში გამოქვეყნებული იდეოლოგიური დოკუმენტებით პარტიამ დაიცვა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის ურყევი საფუძვლები, გამოსულნი ლაპარაკობდნენ, რომ საბჭოთა მუსიკის განვითარებამ უკანასკნელ ათ წელიწადში სავსებით დაადასტურა პარტიის მითითებათა სისწორე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი გადაწყვეტილება უზრუნველყოფს მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომ განუხრელ ზრდასა და განვითარებას, რაც უფრო ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას. ეს გადაწყვეტილება აერთიანებს და აღაფრთოვანებს კომპოზიტორებს ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შესაქმნელად.

განხილვის მსვლელობაში, რასაც საქმიანი ხასიათი ჰქონდა, კომპოზიტორები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა შეიქმნას ოპერებისა და ბალეტების კარგი ლიბრეტოები თანამედროვე თემაზე, გაუმჯობესდეს ექსპერიმენტული მუშაობის, სანოტო-საგამომცემლო საქმის აღმავლობის პირობები. გამოსვლებში დიდი ყურადღება მიექცა ახალგაზრდა კომპოზიტორების აღზრდის საკითხებს. (საკ. სა).

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 10 ივნისისათვის

		წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
აჭარის სსრ	„	38,5
აფხაზეთის სსრ	„	38,0
მაზარაძის რაიონი	„	37,3
ჩოხატაურის	„	35,2
ლენინგორის	„	32,6
სამტრედიის	„	33,0
წულუკიძის	„	34,8
ქუთაისის	„	39,6
წყალტუბოს	„	46,3
ტყიბულის	„	46,8
ცხაკაიას	„	27,7
ობაშის	„	23,2
გეგეჭკორის	„	31,0
ზუგდიდის	„	33,6
წალენჯიხის	„	32,0
ჩხოროწყუს	„	34,0
ხობის	„	32,9
თერჯოლის	„	60,0
ზესტაფონის	„	36,7
ბაღდათის	„	35,0
ვანის	„	45,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

გამოვიყენოთ ნედლეულის ადგილობრივი წყაროები

სოხუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე

აფხაზეთი მდიდარია ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულით. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება ბარიტი, ცარცი, კირქვა, თაბაშირი, გოგირდი და სხვა საჭირო მადნეული.

ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებისა და ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა ამ დღეებში გამართული საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივის კრებები და რაიკომების პლენუმები, რომლებზეც განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები.

სოხუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებისა და სოხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. შარტავა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — „აფხაზსარეწო საბჭოს“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ცხომარიამ, სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ამხ. მ. რაბინოვიჩმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. დუდუჩავამ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის თანამშრომელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ბ. სალაპაევმა და სხვებმა ილაპარაკეს სოხუმის მშრომელთა იმ უდიდეს პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა გამოიწვია. აქტივის მონაწილეებმა ილაპარაკეს სინთეზური და სხვა ქიმიური მასალების პრაქტიკულად გამოყენების შესახებ სოხუმის ფეხსაცმლის, საგალანტერეო და სამკერვალო მრეწველობაში. მაგალითად, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი დღეღამეში უშვებს 200 წყვილამდე ფეხსაცმელს ხელოვნური ტყავისაგან. სინთეზური მასალებისა და ტყავის შემცვლელთა გამოყენება საშუალებას იძლევა ორჯერ და უფრო მეტად გადიდდეს ფეხსაცმლის გამოშვება. სარეწაო არტელ „ხიმიკის“ მუშაობა გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება აფხაზეთში. სამწუხაროდ, დღემდე არტელისათვის ნედლეული ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებიდან და რესპუბლიკებიდან შემოაქვთ.

განსაკუთრებით მდიდარია აფხაზეთი კირქვით, მაგრამ კირს ჯერჯერობით მხოლოდ მშენებლობებზე იყენებენ. რესპუბლიკაში ამჟამად საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს რამდენიმე საძიებო პარტია მუშაობს, მაგრამ ისინი ბარიტის მიზნობრივ ძიებას აწარმოებენ, სხვა მადნეულით კი არ არიან დაინტერესებული.

ადგილობრივი ნედლეულის წყაროების კონკრეტულად შესწავლისა და ქიმიურ მრეწველობაში მისი გამოყენების მიზნით აქტივის კრებაზე დაყენებულ იქნა საკითხი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში საწარმოო ძალთა შემსწავლელი განყოფილების შექმნის შესახებ.

პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„რომელი პროფესია ავირჩიოთ?“

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკაში მოწყობილია საინტერესო გამოფენა „რომელი პროფესია ავირჩიოთ?“. გამოფენის სტენდებთან განსაკუთრებით ყურაღნ თავს. მოსწავლის ფორმიანი ქალიშვილები და ვაჟები. ისინი ხომ მალე მიიღებენ სიმწიფის ატესტატს და გამოვლენ ცხოვრების დიდ გზაზე.

გამოფენის პირველ განყოფილებაში სტენდზეა ტექსტი ვ. ი. ლენინის სიტყვისა „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, რომელიც მან წარმოთქვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III კრებაზე, მ. კალინინის სტატიები და მოხსენებები კომუნისტური აღზრდის შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მოსკოვის მშენებელთა ზეიმზე. აქვეა წარმოებაში ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი მხატვრული ლიტერატურა. მასალები წარმოდგენილია ცალკეული დარგების მიხედვით. განყოფილებები: „ქიმიური მრეწველობა“, „ენერგეტიკა“, „სამთო მრეწველობა“, „მეტალურგია“, „მანქანათმშენებლობა“, „სამშენებლო მრეწველობა“, „სოფლის მეურნეობა“, „რკინიგზის ტრანსპორტი“, „კავშირგაბმულობის ტექნიკა“ წარმოდგენილია სამეცნიერო შრომები, მხატვრული ლიტერატურა, ფოტოილუსტრაციები.

საკოლმეურნეო მრავალფეროვანი გაზეთები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის 3 კოლმეურნეობაში — ახალსოფლის ლენინის სახელობის, ინგირის სტალინის სახელობის და რუხის კოლმეურნეობებში გამოსვლა დაიწყო საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანმა ნაბეჭდმა გაზეთებმა.

გაზეთები კარგად აშუქებენ საკოლმეურნეო ცხოვრების მრავალ აქტუალურ საკითხს, ეხმარებიან კოლმეურნეობათა გამგეობებს და პირველადს პარტორგანიზაციებს სპოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაში.



№ 1 გუმათპესის მშენებელთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მომდინარე წლის 7 ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს პირველი ორი აგრეგატი, ხოლო დანარჩენი დეკემბრის ბოლოსათვის. მშენებლები ენერგიულად შრომობენ ვალდებულების გასანაღდებლად. ს ურ ა თ ზ ე: ქვესადგურის ერთ-ერთი ტრანსფორმატორის დამონტაჟება.

ფოტო ბ. ლუცენკოსი.
(საკადესის ფოტოქრონიკა).

ერთი სკოლის ოსტატები

ეს იყო შარშან გაზაფხულზე. წნორის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ნიკოლოზ ციციშვილმა საუკეთესოდ ჩაბარა გამოცდა მანქანა-იარაღების შემსწავლელ წრეში. მას შემდეგ იგი მთელ თავისუფალ დროს ტრაქტორის საჭესთან ატარებს. მექანიზატორები დაუმეგობრდნენ ნიჭიერ ჭაბუკს, თავიანთ გამოცდილებას გადასცემენ მას. გასულ წელს ნიკოლოზ ციციშვილმა 374 შრომადღე დაგამიმუშავა, რისთვისაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ გაგზავნეს.

საკოლმეურნეო მინდვრებში ჭაბუკები და გოგონები ოცდაათ ჰექტარიან სასიმინდე ნაკვეთს შესეოდნენ, მხიარული შეძახილებით მისდევდნენ კულტივატორს, დარჩენილ მიწას თოხებით აფხვიერებდნენ. მეათეკლასელი ჭემალ ცისკარიშვილი მოგუგუნე ტრაქტორს ცნობისმოყვარეობით მოსდევდა, ხელით შუბლს იჩრდილებდა, გაფიცებით ათვალიერებდა კულტივატორს.

— იცი რა, ჭემალ, — გადაულაპარაკა მეგობარს, მეორე ჭემალს, ზედელაშვილს, — ხედავ, როგორ წვალობს რეგულატორი, დაფანტული აქვს მექანიზმი. ხომ შეიძლება ისინი ერთ ადგილას გაკეთდეს?

— მართალი ხარ, — დაუდასტურა მეგობარმა.

ჭაბუკები შეუდგნენ ჩანაფიქრის განხორციელებას. სასკოლო სახელოსნოებში მასწავლებელ დ. გალუსტოვის დახმარებით ყველა საჭირო დეტალი დაამზადეს. მზად არის კულტივატორი.

სახარატო დაზგა გუგუნებს, გოგონები რაღაცას ბურღავენ, ზოგნი სამჭედლო ქურას მისდევიან. სასკოლო სახელოსნო სავსეა ინსტრუმენტებით, საზეინკლო იარაღებით. მანქანათმცოდნეობის კაბინეტი დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შექმნაში.

ფრაადოსანმა გოგონებმა ნანული ბაგალიშვილმა და ანეზა ჩხიკვაძემ შარშან ვენახის გუთანი დაამზადეს. ეს გუთანი საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნა. თვითონ მოსწავლეებიც ესტუმრნენ მოსკოვს, როგორც გამოფენის მონაწილეები, ოზმანდი ნადირაშვილმა და ჩხიკვაძემ შარშან ხირხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის დროს გუთანი-კულტივატორი რომ ნახეს, გადაწყვიტეს დაემზადებინათ უფრო გაუმჯობესებული, ასეც მოიქცნენ. ჩხიკვაძე და ნადირაშვილი „დტ-54“ მარკის ტრაქტორის ახალი ტიპის გუთნის გაკეთებისათვის საკავშირო გამოფენის მონაწილეებად წარგზავნეს.

დაბა წნორის საშუალო სკოლაში საუკეთესოდ არის დაყენებული ტექნიკური სწავლება.

აი ნორჩ ნატურალისტთა წრე. ივერი მჭედლიშვილი ამ წრის სახელოვანი წევრია. მას იცნობენ მოსკოვშიც. ჰექტარზე 400 ცენტნერი პამიდორის, 90 ცენტნერი სიმინდის, აბრეშუმის მურის ერთ გრამზე 10 კალოგრამი მაღალხარისხოვანი პარკის მიღებისათვის იგი საკავშირო გამოფენის მონაწილე გახდა.

წელს მანქანა-იარაღების შემსწავლელი წრე 24 მოსწავლემ დაამთავრა. ხოზე ჭაბაშვილი, ივანე ბერიაშვილი, როლანდ წუწუნავა და თამაზ გოგინაშვილი ტრაქტორისტები არიან. ტრაქტორისტია აგრეთვე პატარა გოგონა მარინე ნატროშვილი. ოთარ კაკაშვილი მუშაობს ხარატად.

კარგად არის დამუშავებული საკოლმეურნეო ნაკვეთი. მოსწავლე ტრაქტორისტებს ვხვდებით საკოლმეურნეო ზვრებსა და მინდვრებში, მოსწავლე ჭაბუკები და გოგონები ეხმარებიან კოლმეურნეებს. ამ გაზაფხულზე მათ დამატებით 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აიღეს დასამუშავებლად. ისინი ახლა მოსავლის აღების დღეებისათვის ემზადებიან.

მიხაბაძია წნორის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის და მისი ხელმძღვანელის ირაკლი ჭაბაშვილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

გ. ხეჩუაშვილი.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: მოსწავლეები ო. ნადირაშვილი, მ. ნატროშვილი და ნ. ჯიყაშვილი სასწავლო სახელოსნოში.

ფოტო ე. სილდარიანისა.

წესრიგი დავამყაროთ მუშათა სასადილოებში

გაზეთ „კომუნისტის“ რედიდ

შესვენება დაიწყო. თბილისის კამეოლმაუდის კომბინატის მუშებთან ერთად შევდივართ კომბინატის ტერიტორიაზე არსებულ სასადილოში. დარბაზში სისუფთავე და წესრიგია. მაგიდებზე ყვავილის ვაზები დგას, რაც მუდმივ და სასიამოვნო გარემოს ქმნის. ჩანს, რომ აქ ზრუნავენ მუშათა სანიმუშოდ მომსახურებისათვის.

რამდენიმე წელია ეს სასადილო (გამგე ა. გაგნიძე) თვითმომსახურებაზეა გადასული. უგამყიდველო ბუფეტში საუზმის ფართო ასორტიმენტი არის. კერძები გემრიელი და ნოყიერია, ამასთან იაფიც. სასადილოში კომბინატის მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან დიეტური კვებითაც.

ერთი სიტყვით, პირველი ცვლის მუშებს კვების მუშაობა მიმართ სამდურავი არ ეთქმით. მაგრამ მეორე ცვლაში მუშები მხოლოდ საამქროებში არსებული ბუფეტების მომსახურებით უნდა დაკმაყოფილდნენ, რადგან სადამოს სასადილო იკეტება. კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან მესამე ცვლის მუშები — ღამის 12 საათის შემდეგ აღარც ბუფეტები მუშაობს. კომბინატის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტის ხელმძღვანელობამ ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციონ და მიიღონ ზომები, რომ მუშები ყოველ ცვლაში უზრუნველყოფილი იყონ ცხელი კერძებით თუ არა, ცივი საუზმით მაინც.

რეიდის მონაწილენი უსუფთაობის, ფასების დამახინჯების, წონაში მოტყუების აღმაშფოთებელ ფაქტებს წაწყდნენ № 122 სასადილოში (გამგე ს. გუკიანი), რომელიც ძირითადად საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივს ემსახურება. აქვე სადილობენ ტაქსმოტორების გარაჟის, სახერხი ქარხნის და სხვა წვრილ საწარმოთა მუშები. ჭურჭელს ჭუჭყიან ცივ წყალში რეცხავდნენ და გაქონილი ტილოები ამშრალებდნენ. დანაგვიანებული იყო იატაკი. არ იყო თეთრეული, მწვანილი. მომხმარებლები კი მათზე დიდ მოთხოვნილებას აყენებენ. მებუფეტე ქალმა ნ. ხავთასმა მუშებს რ. პაპიანცს და ნ. ნიაზაშვილს ლიმონათში ზედმეტად გადაახდევინა 60 კაპიკი თვითეულს. ლიმონათის ზედმეტ ფასში ველოსიპედი გრძელი რიგი დგას. უმჯობესი იქნება დაჭრილი პური მაგიდებზე ეწყოს და მისი ფასი კერძის ღირებულებაში შედიოდეს. ამით მუშები დროის მნიშვნელოვან ეკონომიას გასწევენ. მაგრამ რუსთავის სასადილოების ტრესტის № 17 სასადილოს (გამგე ვ. ძიძიგური) მუშაკები ანგარიშს არ უწევენ მომხმარებელს, თავს არ იწუხებენ მათი სანიმუშო მომსახურებისათვის. ამას სხვა ფაქტებიც მოწმობს: დასაბანში არ არის ცხელი წყალი, საპონი, ხელსახოცი.

მუშები ხშირად უგემრიელ კერძებით იკვებებიან. მზარეული ს. მაჩაიძე არ ზრუნავს კერძების ასორტიმენტის გაფართოებისათვის, ამიტომაც 27, 28, 29, 30 მაისს მენიუ უცვლელია — ბორშჩი, სუპი, რაგუ, გულაში, კატლეტი, შნიცელი. მუშები სამართლიანად უსაყვედურებენ რუსთავის სასადილოების ტრესტს (დირექტორი მ. პირველი), რომელიც სასადილოს მხოლოდ ღორის ხორცით ამარაგებს.

№ 13 სასადილოში (გამგე ნ. ბექაური) სამრეცხაო უხერხულ ადგილზეა მოთავსებული, რაც ანტისანიტარიას იწვევს. ჭურჭელს ცხელი წყლით არ რეცხავენ, შესაფერისი მაციერი არა აქვთ. № 11 სასადილოს ბუფეტში პროდუქტებს ბუზები ეხვია. როცა მებუფეტეს ო. განდარიას ძეხვის ფაქტურა მოვთხოვეთ, გვიპასუხა, ეს არის მივიღე, ფაქტურა კი გამგეს ჯერ არ გამოუწერიაო. გამოირკვა, რომ სინამდვილეში ასეთი ასორტიმენტის ძეხვი მას უკანასკნელად ხუთი დღის წინათ ჰქონდა მიღებული.

მუშათა კვების საქმეში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. უნდა აღმოიფხვრას მომხმარებელთა წონაში მოტყუების, ფასების დამახინჯების შემთხვევები. სასადილოებში სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე, სადილისა და საუზმის ფართო ასორტიმენტი უნდა იყოს.

გ. მექვაბიშვილი, ა. ხუმუა, ო. არობელიძე, ზ. მერკვილაძე, მ. თვარაძე,
„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

მეჯი ყურადღება სოფელ ფონას

ფონა (ორჯონიკიძის რაიონი) ზღვის დონიდან 1.200 მეტრზე მდებარეობს. ბუნების სიმშვენიერით და სამკურნალო თვისებებით ეს სოფელი არ ჩამოუვარდება „აურორტ სურამს. ფონაში ცხოვრობს 45 კომლი, რომლებიც 4 კილომეტრით დაშორებულ სოფელ წიფის კოლმეურნეობაში არიან გაერთიანებული. ეს სოფელი უყურადღებოდ არის მიტოვებული.

აი ფაქტები. სოფელში არ არის მაღაზია და კოლმეურნეები პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად წიფაში და სურამში მიდიან. ფონაში არც საექიმო პუნქტია.

დაწყებითი სკოლის შენობა კეთილმოეწყობელია. ფანჯრებს არა აქვს მინები, ბავშვებს მეცადინეობა ცუდ პირობებში უხდებათ.

სოფლის მოსახლეობა მოკლებულია კულტურულ მომსახურებას. არ არის სამკითხველო. აქაურ მცხოვრებთ თითქმის ერთი წელია, რაც კინოსურათი არ უნახავთ. არ არის განათება.

სოფელში არის ფონის ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიანი შენობა, სადაც თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს საექიმო პუნქტი, სამკითხველო და მაღაზია, მაგრამ ამაზე ჯერ არავის არ უფიქრია.

ტ. ნოზაძე,
სოფლკორი.

„კომუნისტის“ სიგნალის

შემდეგ

„თესლის შეძენას აგვიანებენ“

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია სათაურით „თესლის შეძენას აგვიანებენ“. წერილში აღნიშნული იყო, რომ ფაოლის რაიონის კოლმეურნეობები აგვიანურებენ სოიის თესლის გატანას პურპარდუქტების თელავის ბაზიდან.

როგორც საქართველოს კპ უცარლის რაიკომის მდივანი ამხ. ალ. ავაზაშვილი გვატყობინებს, გაზეთის სიგნალის შემდეგ მდგომარეობა რაიონში გამოსწორებულია.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ახალი კრიზისული მოვლენები კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში

ლექცია*

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის 1957 წლის შედეგები და განსაკუთრებით მიმდინარე წლის დასაწყისის ფაქტები ექვემიუტანლად და საგნობრივად ადასტურებენ კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების ბურჟუაზიულ-პროფ ო გ ე ტ უ რ ი „თეორიების“ კრახს, კაპიტალიზმის პირობებში კრიზისების გარდუვალობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისწორეს. ამით ერთხელ კიდევ აშკარავდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაკოტრება, ნაფილი ხდება შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის წინასწარმეტყველების ჭეშმარიტად მეცნიერული ხასიათი.

1. ცოტა რამ წარსულიდან

— დედი, მე ძალიან მცივა, გაათბე ღუმელი.

— არა გვაქვს, შვილო, არც შეშა და არც ქვანახშირი.

— მერე რატომ არ ვყიდულობთ ქვანახშირს?

— არა გვაქვს ფული, მამაშენს ხელფასი არ ეძლევა, იგი მაღაროდან დაითხოვეს.

— რატომ დაითხოვეს მამა?

— იმიტომ, რომ მეტისმეტად ბევრი ქვანახშირია მოპოვებული; რაც ამოიღეს, ისიც ვერ გაუსაღებიათ.

დედისა და მცირეწლოვანი შვილის ეს ტიპიური დიალოგი გავრცელებულია კაპიტალისტურ სამყაროში, იგი ასახავს ბურჟუაზიული წყობილების უკუღმართობას, რაც განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება ჭარბწარმოების პერიოდულ კრიზისებში.

„კაპიტალისტურ ქვეყნებში. — წერდა ვ. ი. ლენინი 1901 წელს, — კრიზისი ძველი მოვლენაა, რომელიც დროგამოშვებით მეორდება, როგორც ქრონიკული სნეულების შეტევა“ (თხზ., ტ. 5, გვ. 100).

პირველმა საყოველთაო ეკონომიურმა კრიზისმა იფეთქა ინგლისში 1825 წელს. მას შემდეგ კრიზისი თავიანი მოქმედების სარბიელად ხდის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებსაც და როგორც დღე-ღამეს, ისე ცვლიან ერთმეორეს კაპიტალისტური ციკლის ფაზები — კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება, აღმავლობა, რომელიც კვლავ ახალი, უფრო მძლავრი და გამანადგურებელი კრიზისით მთავრდება. 1825 წლის კრიზისს მოჰყვა 1836, 1847, 1857, 1866, 1873, 1882, 1890, 1900, 1907, 1920, 1929, 1937 წლების პერიოდული კრიზისები, რომლებმაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ეკონომიური კრიზისების ხასიათი მიიღო. ამასთან პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა ორჯერ შეწყვიტა ციკლის ნორმალური მსვლელობა. ამრიგად, სულ 115 წლის განმავლობაში კაპიტალიზმმა 13-ჯერ განიცადა კრიზისის გამანადგურებელი დარტყმა. ასეთია ფაქტები.

კაპიტალისტური ეკონომიური კრიზისები შეფარდებითი ჭარბწარმოების კრიზისებია. ისინი მშრომელთათვის მოასწავებენ გაჭირვებისა და სიღატაკის ზრდას პროდუქტების „სიჭარბის“ ვითარებაში.

ბაზრების გავსებას საქონლით, რომელიც ვერ საღდება მასების მყიდველობითი უნარის შეზღუდულობის გამო, საქონლის ფასების დაცემა, საქონლის დიდი მასის განადგურება, წვრილ და საშუალო საწარმოთა მასობრივი გაკოტრება, უმუშევრობის კოლოსალური ზრდა, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საარსებო დონის კატასტროფული დაქვეითება — ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ აქცევნებს ბურჟუაზიის უუნარობას გონივრულად წარმართოს საზოგადოებრივი წარმოება. ჩვენში, წარმოების სოციალისტური წესის პირობებში ვინმეს რომ ექადაგა ეკონომიურ სიძნელეთა დაძლევა საწარმოო ძალებისა და პროდუქტების განადგურების გზით, მისთვის ადგილი მხოლოდ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღმოჩნდებოდა. ბურჟუაზიული ეკონომიკის მეცნეურთა ინტერესების თვალსაზრისით კი ეს „ცივილიზებული ბარბაროსობა“ სავსებით ბუნებრივი და გასაგები „კომერციული ოპერაციაა“. საზოგადოებას აქვს საკმაო მატერიალური და პიროვნული ფაქტორები წარმოების გაფართოებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ „როგორც აჩრდილი ისე დგას მუშებსა და საწარმოო და საარსებო საშუალებებს შუა ამ საშუალებათა კაპიტალად გადაქცევის აუცილებლობა. მხოლოდ ის უშლის ხელს წარმოების საგნობრივი და პიროვნული ბერკეტების გაერთიანებას: მხოლოდ ის უშლის ხელს საწარმოო საშუალებებს იმოქმედონ, ხოლო მუშებს — იმუშაონ და იცხოვრონ“ (ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, თბილისი, 1952 წ., გვ. 329).

2. კრიზისები რომ მოსპო, უნდა მოსპო კაპიტალიზმი

კაპიტალისტურ კრიზისებში გამომჟღავნებული უკუღმართული მოვლენები სულ უფრო ეჭვს ქმნიან აყენებენ და საფრთხეს უქმნიან ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობას. რამდენადაც რთული და წინააღმდეგობრივია კაპიტალისტური ციკლის მექანიზმი, იმდენად უსუსური და არაობიექტურია მისი არსის გაგებაში ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. მარქსამდელი კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ გაეგოთ პერიოდული ეკონომიური კრიზისების არსი, ციკლის მექანიზმი. ეს აიხსნება არა მარტო კრიზისების პერიოდულობის არასაკმაო გამოძიებებით ამ მოაზროვნეთა მოღვაწეობის პერიოდში, არამედ მათი ჰორიზონტის ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობითაც. მომდევნო პერიოდის ბურჟუაზიულ ეკონომისტებს — სეით დაწყებული, კეინსითა და თანამედროვე კეინსელებით დამთავრებული — უკვე არ სურთ გამოამჟღავნონ კრიზისის ბუნება, მისი არსებითი საფუძველი. ამ შეგნებული მიზნადასახული „ანტიკრიზისული მოქმედების“ მოღური პროგრამების დანიშნულებაა კაპიტალიზმის შელამაზება, დაცვა, მშრომელთათვის თვალის ახვევა, მათი რევოლუციური ენერგიის მოდუნება.

კრიზისების საფუძვლის ერთადერთ სწორ მეცნიერულ ახსნას იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმი. მეცნიერული კომუნიზმის პირველსავე საპროგრამო დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა მოგვცეს კრიზისის მიზეზების ზოგადი, მაგრამ ჭეშმარიტად მეცნიერული მონახაზი. აქ კრიზისი დახასიათებულია, როგორც მზარდ საწარმოო ძალთა აჯანყება შემავიწროვებელ არტახებად ქცეული ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის წინააღმდეგ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შემდგომი ღრმა-მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის წინააღმდეგობის კონკრეტული გამოხატულებაა წინააღმდეგობა წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა ამავე დროს კრიზისის ძირითადი მიზეზია. კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა და მისი შესატყვისი კლასობრივი ანტაგონიზმი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის აისახება კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონში და მეღაენდება ცალკეული პროცესების ან მხარეების ამსახველ მთელ რიგ წინააღმდეგობებში.

ბურჟუაზია მიისწრაფვის უსაზღვრო გამდიდრებისაკენ, ამ მიზნით იგი ყოველი ღონით აფართოებს წარმოებას და ამავე დროს აძლიერებს მშრომელთა ექსპლოატაციას, მინიმუმამდე კვეცავს მასების შემოსავალს, რაც იწვევს მყიდველობითი უნარის მკვეთრად ჩამორჩენას ბაზარზე მიწოდებული საქონლის მასასთან შედარებით. ეს კრიზისის საბოლოო და უშუალო მიზეზია.

მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერულად ხსნის არა მარტო კრიზისების გამომწვევ მიზეზებს, არამედ აგრეთვე მათს პერიოდულობას, ციკლის ფაზების თანმიმდევრობა ცვალებადობის საფუძველს. თუმცა კრიზისის ძირითადი მიზეზი და მისგან გამომდინარე ეკონომიური ანტაგონიზმი მუდმივი, პერმანენტულია, მაგრამ თვით კრიზისები არ არის და არც შეიძლება იყოს მუდმივი, პერმანენტული. კაპიტალიზმი, სანამ იგი არ დაუმხვია რევოლუციურ პროლეტარიატს, პოულობს შინაგან ძალებს ან იყენებს ხელოვნურ ფაქტორებს კრიზისის დასაძლევად. კრიზისის დროებით დაძლევის შემდეგ კვლავ იწყება ახალი კრიზისის წინაპირობათა დაგროვება, რაც ხორციელდება სავაჭრო კაპიტალის, კრედიტისა და კონკურენციის მეშვეობით, ძირითადი კაპიტალის მოძრაობის კანონზომიერებათა ნიადაგზე. ხანგრძლივი მოქმედების წარმოების საშუალებათა სახით არსებული ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლება და გაფართოება, რაც გამოიცხლებისა და აღმავლობის ფაზებში მიმდინარეობს, ქმნის მზარდ მოთხოვნილებას წარმოების საშუალებებზე, ფართოდება ბაზარი, იზრდება დაქირავებულ მუშათა რიცხვი, მათი ხელფასის ჯამი, ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლების დასასრულს მყღავნდება, რომ თუ აქამდე წარმოება მნიშვნელოვნად წილად თვითონ უქმნიდა თავის თავს ბაზარს, ახლა ეს ფაქტორი გაცილებით სუსტად მოქმედებს, თავს იჩენს ის გარემოება, რომ ბაზრის ტევადობა საბოლოო ანგარიშით ზღვარდებულია მასების მყიდველობითიუნარიანობისა მოთხოვნის მოცულობით, ეს კი კვლავ კრიზისის აფეთქების საფუძველია.

კრიზისი ერთი მხრივ კაპიტალისტური ეკონომიკის ყველა წინააღმდეგობის შერთებას და ერთდროულ აფეთქებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ ამ წინააღმდეგობათა დროებით ძალდატანებით გადაჭრას, დარღვეული წონასწორობის დროებით აღდგენას.

„კაპიტალიზმის დროს — წერს ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია დრო და დრო დარღვეული წონასწორობის აღდგენის სხვა საშუალებანი, თუ არა კრიზისები მრეწველობაში, ომები პოლიტიკაში“ (თხზ., ტ. 21, გვ. 416).

3. რა მიმართულებით ვითარდება კაპიტალისტური ციკლი?

იმპერიალიზმის თავისებურებათა ღრმა მეცნიერული ანალიზით ლენინიზმი ააშკარავებს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში კრიზისების სიხშირის, ხანგრძლივობის, გამანადგურებელი ძალის უმაგალითო ზრდის მიზეზებს. 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელმაც მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების წარმოება საშუალოდ 30 წლის წინანდელ დონემდე ჩამოაქვეითა, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ფონზე გაშლილი პერიოდული ეკონომიური კრახის ტიპიური მაგალითია. ამ კრიზისს მოჰყვა განსაკუთრებული სახის დეპრესია. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკამ ის-ის იყო მეტნაკლები ზომით აღადგინა 1928 წლის წარმოების დონე, რომ იფეთქა 1937-38 წლების კრიზისმა, რომლის ნორმალური მსვლელობა დაირღვა ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის დაწყებით.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა, მიუხედავად კაპიტალის ბატონობის სფეროს მნიშვნელოვანი შეზღუდვისა, სირიოზული ჩაკარდნებისა და მკვეთრი უთანაბრობისა, ხასიათდება წარმოების შესამჩნევი ზრდით. ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს ამ სიტყვის ცნობილი მნიშვნელობით, ხოლო კრიზისს, რომელმაც იფეთქა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამაგრ (1943-1946, 1948-1949 და 1953-1954 წლებში), სიღრმის, ხანგრძლივობისა და შედეგის მიხედვით ისეთი გამანადგურებელი და მრისხანე ფორმები არ მიუღია. როგორსაც ადგილი ჰქონდა 1929-1933 წლებში. ამ თავისებურებებისა და ფაქტების ზემოთ განხილვით ბურჟუაზიის იდეოლოგიური დამცველები აკეთებენ ნაჩქარევ დასკვნებს, თითქოს კაპიტალისტური ეკონომიკა უფრო მყარი ხასდა. ნაკლებად ან სულ არ განიცდის ჭარბწარმოების კრიზისების ზემოქმედებას.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი კრიზისებისა და ციკლის საკითხში ვითარდება და იწრთობა კაპიტალიზმის პროლეტარიატის ყველა ფორმისა და ხერხის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. მარქსისტი-ლენინელები ფხიზელ დიფერენციირებულ შეფასებას აძლევენ ხელოვნურ მილიტარისტულ საფუარს, დროებით ფაქტორებს და შინაგანი ეკონომიური ძალებით განპირობებულ ფაქტორებს, რომლებმაც გამოიწვიეს ომისშემდგომი კაპიტალისტური წარმოების ზრდა. ისინი წინასწარ ჰვრეტენ, რომ თანამედროვე ციკლის აღმავლობის ფაზა დაახლოებით ერთდროულად დასრულდება როგორც ამერიკის, ისე ევროპის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ხასიათს მისცემს მომავალ კრახს, გააძლიერებს ერთი ქვეყნის სიძნელეთა მანევრირებას მეორეთა ხარჯზე, გააღრმავებს და გაახანგრძლივებს ეკონომიურ კრიზისს. ამავე მიმართულებით იმოქმედებენ გაღრმავების პროცესში მყოფი აგრარული, სავალუტო და ფინანსური კრიზისები, რომლებიც გადაეანაკვეთებიან მრეწველობის კრიზისს, გამოიწვევენ

დიდი მზრუნველობა საბჭოთა მუსიკის აყვავებისათვის

★ ★

ხალხურობა, რეალიზმი ჩვენი გამეარჯვების საწინდარია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“ აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნეები, მუსიკალური ხელოვნების ყველა მუშაკი.

11 ივნისს შედგა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის კრება. მომხსენებელმა — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა ო. თაქთაქიშვილმა ფართოდ გააცნო კრების მონაწილეებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება და ის ამოცანები, რომლებიც ამჟამად დგას ქართველი კომპოზიტორების წინაშე რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის აღმავლობისათვის, ისეთ ახალ მხატვრულად და იდეურად გამართულ ნაწარმოებთა შექმნისათვის, რომლებშიც სრულყოფილად იქნება ასახული ჩვენი დიადი ეპოქის მოვლენები.

— ახალი დადგენილება, რომელიც 8 ივნისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა, — დაასკვნა მომხსენებელმა,— არის იმის ნათელი გამოხატულება, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი პარტია მუსიკალურ ხელოვნებას, რაოდენ ფართო გასაქანს აძლევს ჩვენს კომპოზიტორებს, საერთოდ მუსიკალური კულტურის მოღვაწეებს შემოქმედებითი წარმატებებისათვის. ჩვენი ვალია პარტიის ამ დიდ ზრუნვას ვუპასუხოთ ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით, სამშობლოს, ხალხს მივცეთ ახალი, მაღალმხატვრული და იდეურად გამართული მუსიკალური ნაწარმოებნი, განსაკუთრებით თანამედროვეობის თემაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორებმა ა. ბუკიამ, ა. ბალანჩივაძემ, ა. მაჭავარიანმა, ვ. გოკიელმა, დ. თორაძემ, შ. მშველიძემ, ს. ბარხუდარიანმა, ა. შავერზაშვილმა, მუსიკათმცოდნეებმა თ. კვირიკაძემ და ა. წულუკიძემ.

კამათში მონაწილე ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის დადგენილება და გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ქართველი კომპოზიტორები, მუსიკალური კულტურის ყველა მუშაკი ამ დადგენილების საფუძველზე კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთ შემოქმედებითს ოსტატობას, შექმნიან ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიც სრულყოფილად იქნება ასახული ჩვენი თანამედროვეობის საინტერესო მოვლენები.

ქართველი კინომუშაკები იწონებენ პარტიის ახალ დადგენილებას

ოთხშაბათს, 11 მაისს, გაიმართა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილებას „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 28 მაისის დადგენილების შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. თევდორაძემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ახალი საფეხურია საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. პარტია ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ემყარება ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპს, მოუწოდებს შემოქმედებითს მუშაკებს ხალხურობის, რეალიზმისა და მაღალი მხატვრულობისაკენ. ეს ისტორიული პარტიული დოკუმენტი გვასწავლის, რომ საჭიროა გულისხმიერება, ჰუმანური დამოკიდებულება შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი, საჭიროა სწორი, პირუთვნელი კრიტიკა. მშობლიური კომუნისტური პარტია ყოველთვის მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს შევქმნათ ხალხისათვის მახლობელი ნაწარმოებები, გაბედულად ვიაროთ სოციალისტური რეალიზმის გზით.

დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი გ. გიგოლაშვილი, კინორეჟისორები ლ. ესაკია, რ. ჩხეიძე, გ. წულაია, ლ. ღოღობერიძე და სასცენარო განყოფილების რედაქტორი ნ. ნიკოლაძე.

ვემზადოთ მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის

1959 წლის მოსახლეობის აღწერის განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ მისი შედეგები მოგვცემს სწორ მაჩვენებლებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის, მისი განლაგების შესახებ, ასახავს იმ გრანდიოზულ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, შექმნის უძვირფასეს მასალას საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობისა და გამოყენების საქმეში.

დიდი ლენინი სეროიზულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსახლეობის აღწერას. მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა საბჭოთა კავშირში ვ. ი. ლენინის ინიციატივით მოეწყო 1920 წელს. ამ აღწერის მაჩვენებლები გამოყენებულ იქნა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ერთიანი სახელმწიფო გეგმის შედგენისათვის.

მოსახლეობის მეორე საკავშირო აღწერა ჩატარდა 1926 წელს. აღწერის შედეგად მიღებულ მასალებში მკაფიოდ აისახა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევები.

მესამე სრულიად საკავშირო აღწერა განხორციელდა 1939 წლის 17 იანვარს, მეორე საკავშირო აღწერიდან 12 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში სრულიად იცვალა სახე საბჭოთა ქვეყანამ. სუსტად განვითარებული, ტექნიკურად ცუდად აღჭურვილი ქვეყნიდან იგი მაღალგანვითარებულ, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ ქვეყნად გადაიქცა.

ამ ცვლილებებმა მკაფიო ასახვა ჰპოვა 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში.

ომისშემდგომი ხუთწლედების წარმატებით შესრულებისა და მეექვსე ხუთწლედის შესრულებაში უკვე მიღწეულ დიდ წარმატებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მცირდება სიკვდილიანობა, იზრდება დაბადება, მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი ყოველწლიურად მეტი ხდება.

ცვლილებები მოხდა არა მარტო მოსახლეობის რაოდენობაში, არამედ მის შემადგენლობაში. გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა აბსოლუტური რაოდენობა და მისი ხვედრითი წონა. გაიზარდა აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა, ყოველწლიურად იზრდება საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა, სწრაფი ტემპით ივსება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მეცნიერ მუშაკთა რიგები. აღნიშნული ცვლილებები გამოხატულებას ჰპოვებენ მომავალ, 1959 წლის საკავშირო აღწერაში, რომლის მასალები გამოყენებული იქნება მეშვიდე ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის.

მოსახლეობის აღწერის მომზადება და ჩატარება მთავრობის მიერ დავალებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

როგორც ყველა სხვა რესპუბლიკაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენი რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოსთან შექმნილია მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარების განყოფილება, რომელიც ამჟამად აწარმოებს და ხელმძღვანელობს აღწერის მოსამზადებელ სამუშაოებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე მარტო სტატისტიკურმა ორგანოებმა როდი უნდა აწარმოონ. ამ ღონისძიების განხორციელებაში აქტიურად უნდა ჩაებან პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მთავრობის მიერ დავალებული ჰქონდათ ფართოდ გაეშალათ აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები, 1958 წლის 1 იანვრამდე უზრუნველეყოთ აღწერის საორგანიზაციო გეგმის შედგენისათვის საჭირო კარტოგრაფიული მასალების მომზადება და საქალაქო მეურნეობის მოწესრიგება.

მაგრამ ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აღნიშნული სამუშაოების შესრულებას. ისეთ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, როგორიც არის თბილისი, ზუგდიდი, წითელწყარო, ცაგერი, კასპი, მარნეული, ლაგოდეხი და სხვ., ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის ქალაქის სქემატური გეგმების დაზუსტება, ქუჩების სახელწოდებათა მოწესრიგება, კვარტალებისა და სახლმფლობელობათა დანომვრა, საზღვრების დაზუსტება, საბინაო წიგნების წარმოებისა და საქალაქო მეურნეობის სხვა საკითხების მოწესრიგება.

საჭიროა მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ განუმარტონ მოსახლეობას აღწერის მიზანი და დანიშნულება.

სეროიზულად უნდა მოეკიდონ საქმეს მოსახლეობის აღწერის ხელისმშემწყობი კომისიები, რომლებიც შექმნილია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან და მომავალში შეიქმნება აგრეთვე ყველა მსხვილ საწარმო - დაწესებულებებთან.

მოსახლეობის აღწერას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ხელი იმ ამხანაგებმა, რომლებიც გამოყენებული იქნებიან საველურ აღწერაში. ექვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მოგზაურებენ მიერ დადგენილ ტერიტორიებში, ეცემა მშრომელთა შემოსავალი, მყიდველობითი უნარი. ახლა ამერიკელი მშრომელის ფულადი შემოსავლის ერთი მესამედი გადასახადების დაფარვას უნდება, ხოლო კიდევ ერთი მეხუთედი წინათ განაწილვადებით ნისიად შეძენილი საქონლის გამოყიდვას. სამრეწველო საწარმოებზე მიცემული შეკვეთის თანმხ შემცირდა 1956 წლის აგვისტოს 31,1 მილიარდი დოლარიდან 23,2 მილიარდ დოლარამდე 1958 წლის მარტში. საწარმოთა პორტფელში არსებული შესასრულებელი შეკვეთების ღირებულების კამი ამავე პერიოდში დაეცა 64-დან 26,8 მილიარდ დოლარამდე. დასასრულ, კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია უმუშევრობის ზრდა. გაზეთ „ნიუზლ გარდიენის“ ცნობით, ა. წ. აპრილში მარტო ოფიციალურად აღრიცხულ საკუნებით უმუშევართა რიცხვი 5,1 მილიონს შეადგენდა, ხოლო ნაწილობრივ უმუშევართა—2 მილიონს. ოფიციალური ცნობით, მიმდინარე წლის მარტის უკანასკნელ 7 დღეში ამერიკის შრომის სამინისტროში 422 ათასი ახალი უმუშევარის განაცხადი შევიდა.

ასეთია ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიზისის გაღრმავების ფაქტები.

კაპიტალიზმის იმ ექიმბაშებს, რომლებიც იტყოდნენ, ეს ფაქტები შეერთებულ შტატებს შეეხება და არა სხვა ქვეყნებსო, შეიძლება ვუპასუხოთ კ. მარქსის მოსწრებული გამოთქმით: „შენზე ამბობენ ამ ისტორიას!“, „ეს არის შენი ხვალინდელი დღე“. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯიუტი ფაქტების გავლენით დღეს ინგლისის, დასავლეთ გერმანიის, დანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, იაპონიის, კანადის, მექსიკის, არგენტინის, ბრაზილიის, ჩილეს და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების პრესაში და საქმიან წრეებში აშკარად და ხმამაღლა გაისმის შეშფოთება დღევანდელი დღის სიდუხჭირისა და ხვალინდელი დღის კიდევ უფრო პირქუში პერსპექტივის გამო.

კაპიტალისტური სამყაროს სხვადასხვა კლასები და ფენები სხვადასხვაგვარ დასკვნებს აკეთებენ განხილული მოვლენებიდან.

ამერიკის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების უკიდურესი რეაქციული მონოპოლისტური წრეები ცდილობენ გამოიყენონ შექმნილი ვითარება ეკონომიკის შემდგომი მილიტარისტული დამუხრუჭებისათვის. ატომური და წყალბადის იარაღის, სამართავი ყუმბარების წარმოების კოლოსალური ზრდისათვის. ამ რეაქციული და უგუნური ხაზის ახალი გამოვლენაა დასავლეთ გერმანიის პარლამენტის გადაწყვეტილება ატომური და წყალბადის იარაღით ბუნდესვეერის აღჭურვის შესახებ. და ეს ხდება იმ ვითარებაში, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელმა სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ამავე დროს მონოპოლიები ვარაუდობენ შექმნილი ეკონომიური ვითარება გამოიყენონ შრომელთა საარსებო დონეზე ახალი შეტევისათვის. ბიზნესმენთა ორგანო „ფორჩუნი“ არ მალავს კმაყოფილებას იმით, რომ უმუშევრობის ზრდის ვითარებაში მუშა-მოსამსახურენი უფრო „დამყოლნი“ გახდებიან და ორგანიზებულად ვერ გამოვლენ საარსებო დონის დაქვეითების წინააღმდეგ.

მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ზომიერ და წინდახედულ წრეებში გააკეთეს სწორი კერძო დასკვნა სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობის შესახებ, ხოლო შეერთებული შტატების მმართველი წრეები ჯიუტად განაგრძობენ დისკრიმინაციის უგუნურ პოლიტიკას. გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერსის“ გამომცემელი რიდერი ადარილის პირველ რიცხვებში წერდა, რომ ამერიკის „წელმძღვანელობის“ მიუხედავად, ინგლისს, გერმანიას და სხვა ქვეყნებს არა სურთ ხელი აიღონ სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით ჩინეთის ბაზრის გამოყენებაზე, ჩვენ კი ამ შესაძლებლობას ხელიდან ვუშვებთო.

ინგლისის, დასავლეთ გერმანიის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების პრესაში აშკარა გაგულისებით წერენ შეერთებული შტატების მესვეურთა ჯიუტ და ეგოისტურ ხაზზე, რომელიც ერთი მხრივ განაგრძობს სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის შეზღუდვას, ხოლო მეორე მხრივ მაღალი საბაჟო ჯვარედინი ხელს უშლის საქონლის ექსპორტს შეერთებულ შტატებში. ამრიგად, კრიზისი და შერყევები აშწავებენ წინააღმდეგობას იმპერიალისტურ ბანაკში.

ამავე დროს კაპიტალიზმის უნიადაგობისა და დრომოჭმულობის ეს ახალი გამოვლინება ააშკარავებს და აღრმავებს კაპიტალისტური სამყაროს სოციალურ ანტაგონიზმს, იწვევს მუშათა კლასის შეგნებულობისა და რევოლუციური დარაზმულობის ზრდას. და ეს პროგრესული ამოცანამით უფრო წარმატებით შესრულდება, რაც უფრო მალე განთავისუფლდება პროლეტარიატი რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის გავლენისაგან.

მარტის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა საგანგებო კონფერენცია ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის საკითხებზე, რომელიც მოიწვია პროფკავშირთა ცენტრალურმა ორგანომ. პროფკავშირთა ფედერაციისა და კონგრესის თავმჯდომარე მინი აღნიშნავდა, რომ ეკონომიური მდგომარეობა ახლა ისეთ ფაზაში შევიდა, როდესაც „უმუშევრობა თვითონ იწყებს ახალი უმუშევრობის წარმოშობას“. პროფკავშირთა საკვლევი ბიუროს დირექტორმა რუტენბერგმა განაცხადა, ეკონომიკის დაცემა გრძელდება და მას ჯერ კიდევ თავისი ფსკერისათვის არ მიუღწევიაო. კონგრესის თავმჯდომარის მოადგილემ რეუტერმა სხვა აზრებთან ერთად ასეთი საინტერესო დეტალი აცნობა კონფერენციას: თურმე ამერიკელი მუშები ხშირად ეკითხებიან მას: „რატომ არის, რომ ამერიკაში ეკონომიკის აყვავება და სრული დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ ომების ჭარიოდში?“ სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კონფერენციის მონაწილენი არც კი შეეცადნენ გაერკვიათ ა პასუხი გაეცათ ამ კარდინალურ საჭირბოროტო საკითხზე. ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა არც შეიძლოდა კონფერენციის ორგანიზატორთა ვარაუდებში. ისინი დაკმაყოფილდნენ იმ პალიატივურ, ნაკლებად ქმედით ღონისძიებათა განხილვით, რომლებიც, მათი აზრით, „მდგომარეობას გამოსწორებენ“. ეს რეფორმიზმის ცნობილი ფანდია!

ამერიკისა და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე კვლავ მთელი სიმწვავით წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხზე ერთადერთ სწორ პასუხს იძლევიან მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებული კომუნისტური და მუშათა პარტიები: მასობრივი უმუშევრობა, კრიზისი, ომი და სხვა უკეთესართობანი საბოლოოდ მოისპობა კაპიტალიზმის მოსპობასთან ერთად.

ინგლისის მონოპოლისტური წრეების ორგანო „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ ახასიათებს შეერთებულ შტატებში დაწყებული კრიზისის გავლენას კაპიტალისტური ევროპის ეკონომიკაზე და თვლის, რომ საქმეს უშველიდა მხოლოდ ამერიკის ეკონომიკის ახალი აღმავლობა. წერილის ავტორი გამოთქვამს შიშს, რომ სანამ ასეთი აღმავლობა დაიწყებოდეს, სხვა ქვეყნებში ამჟამად მიმდინარე შესუსტება საქმიანი აქტივობისა შესაძლოა კრიზისში გადაიზარდოს, რაც კიდევ უფრო დააყოვნებს ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას. „ამასთან არავის არ შეუძლია თქვას, თუ როდის დადგება ამ ჯაჭვური რეაქციის დასასრული“. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა მეტად მოსწრებული და ღრმაგაზრდოვანია. კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთგადაკეთა კრიზისის მსვლელობაში მართლაც წაადგება ჯაჭვურ რეაქციას, ერთიანი პროცესის რგოლთა ურთიერთ გადანასკვას, მიზეზისა და შედეგის ადგილცვლას. და თუ ამჟამად მართლაც ძნელია ვივარაუდოთ ამ ჯაჭვური რეაქციის სიღრმე, მასშტაბი, ხანგრძლივობა და სოციალური შედეგები, ერთი რამ უკვე ამჟამადაც სავსებით ცხადია: შექმნილი ვითარება მოასწავებს ომის შემდგომი აღმავალი კონიუნქტურის დასასრულს, ბურჟუაზიული ამოლოგეტიკის გაკოტრებას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სასიცოცხლო ძალის ახალ ბრწყინვალე დადასტურებას.

დოც. ვ. მელქაძე.

ნაფარეულის მეურნეობა წინათ და ახლა

თმაშეეფრცხლილი მოხუცი ზაქარია გვერდელაშვილი გულთბილად მოგვესალმა. ჩრდილში მიგვიწვია და საუბარი ნაფარეულის წარსულსა და აწმყოზე დაიწყო. ნაფარეულელები მას „ცოცხალ მატიანეს“ ეძახიან, და ასეც არის. ზაქარიას დღევანდელდღესავით ახსოვს 50-55 წლის წინანდელი ამბავი.

— ნაფარეულის საუფლისწულო მამულში, — გვითხრა მან, — 1903 წლიდან დავიწყე მუშაობა. წყეული წარსულიდან ბევრი რამ მაგონდება. დაკანონებული იყო, რომ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე გვმუშაობენ. თუ ვინმე იურჩებდა და გვინ გამოვიდოდა ან ადრე წავიდოდა, სამუშაოდან ითხოვდნენ, ლუკმაპურს კარგავდა. ბედნიერად ვთვლიდით მას, ვინც დღეში ერთ მანეთს მაინც მიიღებდა.

იე დროს ვენახებს პრიმიტიული წესით ამუშავებდნენ. რაიმე პროგრესული მეთოდების დანერგვაზე ამა ვინ იფიქრებდა? ამიტომ იყო, რომ მოსავალი მცირე მოდიოდა. 1906 წელს მაღულს 30 ათასი დეკალიტრი ღვინო მიუღია და მის მმართველს ეს დიდი სიხარულით უცნობებია კავკასიის საუფლისწულო მაღულების ინსპექტორისათვის.

1921 წელს დიდი ოქტომბრის მცხუნვარე მზე ნაფარეულშიც ამობრწყინდა. ახალი საბჭოური ცხოვრება დაგვიდგიდრდა. დაღუპულ ზვრებს მზრუნველი პატრონი გაუჩნდა. ვენახებს აღდგენა დაიწყო. 1933 წლისათვის სრულმოსავლიანმა ვენახმა 153 ჰექტარს გადაამეტა.

ვენახების ფართობი იზრდება, მოსავალი მატულობს

ალაზნის მადლიან ველზე ნიადაგი ნოყიერია, ზომიერი ჰავაა, მთებიდან ჩამოდის მაცოცხლებელი მდინარეები, ამიტომ ვაზი აქ შესანიშნავად ხარობს. მაგრამ თავისით ამოსულ ვაზს იშვიათად თუ შეხვდებით. იგი გამრჯე მარჯვენამ უნდა დარგოს და ახაროს. ეს კარგად იციან ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, და მთელი მონდომებით მუშაობენ ახალი ვენახების გასაშენებლად. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მეურნეობას 213 ჰექტარი ვენახი შეემატა.

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ 1960 წლამდე სულ ცოტა 360 ჰექტარი ახალი ვენახი კიდევ გაშენდეს. 1965 წლისათვის მეურნეობის ვენახების ფართობი 1.400 ჰექტარს მიაღწევს. ამდენი ვენახი საქართველოში თითქმის არც ერთ მეურნეობას არ ექნება.

ამ დიდი საქმისათვის ყველაფერი მზად არის. ნაფარეულელებს მწვანე ვაზის სადედე 3,5 ჰექტარზე მეტი არ ჰქონდათ. ეს ხელს უშლიდა მათ ვაზი დაემყნოთ, ნერგი გაემრავლებინათ. ეს ნაკლი ახლა დაძლეულია. სადედე ათ ჰექტარზე გააშენეს. სულ მალე დიდძალ საძირე მასალას მიიღებენ. სანერგე მეურნეობაც მოაწესრიგეს. ასათასობით ცალი ნამყენი ვაზი სანიმუშოდ არის გახარებული. წინათ სავენახე პლანტაჟის მომზადება უკირდათ, ტექნიკა საკმარისი არ გააჩნდათ. ამჟამად ამ დარგშიც კარგად არის საქმე.

ვენახის ფართობის ზრდა მოსაწონია, სახისხარულოა, მაგრამ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად მთავარია გაიზარდოს მოსავალი ჰექტარზე. ნაფარეულელები არც ამ საქმეში ჩამორჩებიან. გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ვენახები სეტყვამ ძლიერ დაზიანა, 1947 წლთან შედარებით სამჯერ მეტი მოსავალი მოიყვანეს. სანავარდოს აგროგანყოფილებამ სეტყვისაგან მიყენებული ზარალი, დიდად არ შეიმჩნია. რგოლმა, რომელსაც გ. გურგენაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 87 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი გაცილებით ნაკლებს ითვალისწინებდა. თავი ისახელა აგრეთვე ილია ნამაზაშვილის რგოლმა.

წელს ყურძნის დიდ მოსავალს მოელიან

420 ჰექტარი ვენახის დამუშავება ადვილი რადა, მაგრამ სიბეჯითეს ყველა სიძნელის დაძლევა შეუძლია. სძლევენ კიდეც. ყველა სახის სამუშაო მაღალხარისხოვნად შესრულეს. წელს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სიმეჩხრის ლიკვიდაციის საქმეს. გადაწყვეტილია და გამორგვით ვენახებს ათეულ ათასობით ძირი ვაზი შემატეს. მინერალური სასუქები მთელ ფართობზე შეიტანეს. ვენახებში გაზიდეს 2.400 ცენტნერი ორგანული სასუქი. მექანიზატორების ბესო ახალაციშვილის, ბაგრატ ლაფაჩისა და სხვების მონდომებული მუშაობის შედეგად ნიადაგი შავ ფხვიერ მდგომარეობაშია.

ვენახის სამუშაოები ყველაზე უკეთესად სანავარდოს აგროგანყოფილებაში (უფროსი ... ავსაბაშვილი) ... ნარეობს. მოწინავეა აგრეთვე აგროგანყოფილება, რომელსაც ახალგაზრდა აგრონომი ოთარ ინაშვილი ხელმძღვანელობს.

მეურნეობაში ბევრია თავდადებული, ბეჯითი მუშა. მათგან ზოგიერთებს დავასახელებთ. გ. გურგენაშვილი, ლ. პაპუნაშვილი, ფ. ჯავახიშვილი, პ. შავხალადოვი, მ. თაგვაშვილი მცოდნე და ბეჯითნი არიან. მათ მიერ მოვლილი ვაზი კარგად ხარობს, მოსავალს უხვს იძლევა. მათ არც მუშა-ქალები მარგო გელდიაშვილი, ელენე ბაქრაძე, ლენა კობიაშვილი და სხვები ჩამოუვარდებიან.

სონა მეფარიშვილი 55 წელია, რაც ნაფარეულის ზვრებში მუშაობს და ჯერაც არ ეტყობა დაღლა.

— წელს თვითეულ ჰექტარზე რამდენი ცენტნერი ყურძნის მიღებას ვარაუდობთ? — შევეკითხეთ მეურნეობის მთავარ აგრონომს ფ. ხომიზურს.

— ვაზის ისეთი მსხმოიარობა, — გვიპასუხა მან, — როგორიც წელს არის, არასოდეს არ ყოფილა. კარგი მოვლით მას მთლიანად შევინარჩუნებთ. ექვი არ გვეპარება, რომ საშუალოდ ჰექტარზე ეს ცენტნერ ყურძენს მაინც მივიღებთ. სანავარდოს აგროგანყოფილება ჰექტარზე 120 ცენტნერზე ნაკლებს არ მიიღებს. ბრიგადირი გიორგი ნაცვლიშვილი ყოველ ჰექტარზე 150 ცენტნერ ყურძენს მოელის.

მეურნეობა ახალი შენობებით მშვენდება

ნაფარეულის მეურნეობაში ზემდგომი ორგანოების დახმარებით უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა. მეურნეობის მთავარი შესასვლელიდან ღვინის ქარხნამდე გზა მოასფალტა. გაკეთდა საველი ბილიკები, დაიდგა ლამპიონები. „ბოტანგორიდან“ აწყარა ცივი წყალი გამოიყვანეს. მაგისტრალური ხაზი შვიდ კილომეტრს აღემატება. წყალსადენი წამში 15 ლიტრ წყალს იძლევა. ამ საქმეზე 774 ათასი მანეთი დახარჯა. გზის პირას ვენახების გაყოლებით ქარსაცავი ზოლები გააშენეს, გარდა ამისა, დარგეს ასობით ძირი მაღალტანიანი კაკლის ხეები.

მეურნეობა ბინების სიმკაცრეს თითქმის აღარ განიცდის. არ განიცდის იმიტომ, რომ აეგეს ორი საცხოვრებელი სახლი 48 ოთახით. საბავშვო ბაღი ახლადაგებულ სპეციალურ შენობაში მოათავსეს. სასადილოსა და მაღაზიის შენობებიც ახალია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამბანოს მშენებლობა.

მეურნეობას ღვინის ქარხანა აქვს, მაგრამ იგი ძველი და პატარაა. აქ მუშაობა ძნელია, მაგრამ მელვინეების კ. ჩოხელის, გ. ჩეკურაშვილის, ნ. ხუციშვილის და რ. ზარაფაშვილის მონდომებული მუშაობის შედეგად მაღალი ხარისხის ღვინოები მზადდება. ნაფარეულელებმა წინანდლის ღვინის ქარხანაში 72 ათას დეკალიტრზე მეტი ღვინო გაგზავნეს დასაძველებლად. მალე ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიიღებენ ნაფარეულის მარკის თეთრსა და წითელ ღვინოებს.

მუშაობა უფრო გაადვილდება, ღვინოების ხარისხიც უკეთესი იქნება, როცა ახალი დიდი ქარხანა აშენდება. ქარხნის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ქარხანა, რომლის მშენებლობაც 1960 წელს დამთავრდება, წლიურად 120 ათას ცენტნერ ყურძენს გადაამუშავებს. წელს გათვალისწინებულია დამთავრდეს ქარხნის ერთი მეექვსედი ნაწილი. მშენებლობაზე 21 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ნაფარეულელები წელს ყურძნის უხვ მოსავალს გვპირდებიან.

ს. ჟოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გურჯაანის რაიკოოპკავშირმა სოფელ კარდანახში გახსნა სამრეწველო და სახურსათო საქონლის მაღაზია. ს ურ ა თ ს ე: მომხმარებლები ახალ მაღაზიაში.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა (საქფისის ფოტოქრონიკა).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი ჰონკონგში ინგლისელ ხელისუფალთა დაუსაბუთებელი მოქმედების წინააღმდეგ

პეკინი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 10 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდ ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულს კანცელარიის გაუგზავნა ნოტა, რომლითაც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ჰონკონგში ინგლისელ ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ერევიან ჩინელ მოქალაქეთა საქმეებში და უკრძალავენ მათ ჩინეთის სახელმწიფო ალმის აღმართვას და ჩინეთის სახელმწიფო ჰიმნის შესრულებას.

ჰონკონგში მცხოვრებ ჩინელთა მიერ ჩინეთის სახელმწიფო ალმის აღმართვა და ჩინეთის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება, ნათქვამია ნოტაში, წარმოადგენს მათს როგორც ჩინელების წმიდა, ხელშეუხებელ უფლებას. ინგლისელი ხელისუფალნი ჰონკონგში არა თუ პატივს არ სცემენ ჰონკონგში მცხოვრებ ჩინელთა ასეთ უფლებას, არამედ უხეშადაც თელავენ ამ უფლებას. ეს წარმოადგენს მეტად არამეგობრულ აქტს ჩინეთის მთავრობისა და ხალხის მიმართ. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის მთავრობა ინგლისის მთავრობას უცხადებს სერიოზულ პროტესტს და მოითხოვს ინგლისელ ხელისუფალთაგან ჰონკონგში დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ჰონკონგში მცხოვრებ ჩინელთა წმიდა უფლებების ასეთი ხელყოფა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების სესიამ დაამთავრა მუშაობა

ფხენიანი, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა მეორე მოწვევის უმაღლესი სახალხო კრების მესამე სესიამ.

სესიაზე კამათში კანონპროექტის გამო „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი (1957-1961 წლები) გეგმის შესახებ“ გამოვიდა 24 დეპუტატი.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს კანონპროექტი „პირველი ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

დღეს დილით სესიაზე სიტყვა წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა.

კამათის დამთავრების შემდეგ სესიამ ერთსულოვნად მიიღო კანონი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების სესიამ ერთსულოვნად მოიწონა კორეელი ხალხის წერილი ჩინელი ხალხისა და ჩინელი სახალხო მოხალისეებისადმი.

სესიამ დაამტკიცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, გამოცემული უმაღლესი სახალხო კრების მეორე სესიის შემდგომ პერიოდში, მათ შორის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ანტისახელმწიფოებრივი და ანტირევოლუციური საქმიანობისათვის დეპუტატის მანდატები ჩამოერთვათ უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ყოფილ თავმჯდომარეს კიმ დუ ბონს, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს პაკ ი ვანს, ყოფილ მინისტრებს ლიუ ჩუკ უნს, ო.გი სობს, გენერალ-ლეიტენანტ ჩან პენ სენს.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა დეპუტატის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ხე დენ სუკის მიერ მის განსახილველად შეტანილი წინადადებანი — შეიქმნას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის კომისია დეპუტატის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის კიმ ირის მეთაურობით.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს უშიშროების საბჭომ განაგრძო ლიბანის იმ საჩივრის განხილვა, თითქოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ჩარეულიყოს ლიბანის საშინაო საქმეებში. იაპონიის, პანამის, კოლუმბიის, კანადისა და სხვების წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭომ მიიღო შვეიცარიელ რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ შეიქმნას მეთვალყურეთა სპეციალური ჯგუფი ლიბანის საზღვრებზე. რეზოლუციამ მიიღო 10 ხმა. საბჭოთა კავშირმა კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ავღანეთში გაიხსნა ახალი მეტეოროლოგიური სადგური

ქაბული, 11 ივნისი. (საკდესი). კარეზამირში, ქაბულის ახლოს, 9 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საჩვენებელი მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც სავსებით დაკომპლექტებულია საბჭოთა მოწყობილობით. სადგურის მოწყობილობის მონტაჟსა და გამართვას აწარმოებდნენ საბჭოთა სპეციალისტები.

მუშაობა დაამთავრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა

პარიზი, 11 ივნისი. (საკდესი). 9 და 10 ივნისს პარიზის ოვრის გარეუბანში გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საფრანგეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ვალდეკ როშემ. მოხსენების გამო გაიმართა ფართო კამათი. პლენუმის დასკვნით სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოცემულია საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

პარიზი, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა რეზოლუცია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა, რომელმაც განიხილა საფრანგეთის მდგომარეობა და პარტიის ამოცანები. რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია: „დე გოლი ხელისუფლების სათავეში შეთქმულებამ ჩააყენა. დე გოლი იყო ამ შეთქმულების ცენტრში, რომელმაც მისცა მას საშუალება გამოსცეს თავისი კანონები და შეეცვალოს კონსტიტუცია, დანიშნოს და გამოცვალოს მინისტრები, გამოიყენოს არმიის ძალა და რეპრესიები. მან დაითხოვა პარლამენტი, უარი თქვა სოციალური უფლებების გარანტირებაზე. მან მოამზადა პლებისციტი. საქმე ეხება არა მთავრობის უბრალო შეცვლას, არამედ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მოისპოს რესპუბლიკური წყობილება და რომელსაც უკვე მოჰყვა ხალხის დემოკრატიული კონტროლისაგან განთავისუფლებული პირადი ხელისუფლების დამყარება. დე გოლის ხელისუფლებაში ფაშიზმის საფრთხე მოჩანს...

ეს დიქტატორული მთავრობა საფრანგეთს თავს მოახვევა ალჟირისა და აიაჩოს გადატრიალებებმა, მეამბოხე გენერლების შეიარაღებული ჩარევის მუქარამ და სამოქალაქო ომის შანტაჟმა. მოჩვენებითი კანონიერება ვერ დაფარავს სახელმწიფო გადატრიალების ნამდვილ ხასიათს, და დეპუტატებმა, რომლებმაც მოახდინეს ეს თვითგანდგომა, უღალატეს მანდატს, რომელიც მათ ხალხმა მისცა, და განუდგნენ რესპუბლიკას“.

„დე გოლის მთავრობის პირველი აქტი, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — ის იყო, რომ დაეთანხმა ულტრა-კოლონიალისტების პოზიციას საფრანგეთთან ალჟირის შეერთების შესახებ. ამრიგად, იგი ეწინააღმდეგება ძირითად ისტორიულ ფაქტს — ალჟირელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებას. იგი სრულიად არ ითვალისწინებს ომის დამღუპველ შედეგებს საფრანგეთის ეკონომიკისა და მშრომელთა ცხოვრების პირობებისათვის“. რაც შეეხება დე გოლის განზრახვას მოაწყოს არჩევნები ალჟირში, პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში, რომელიც გახვეულია ომის ალში და მეამბოხეთა ხელმძღვანელების კონტროლსა და იძულებას ექვემდებარება, რომელთაც ჰყავთ 500-ათასიანი არმია“, შესაძლებელია მხოლოდ „არჩევნების პაროდია“.

პლენუმი აღნიშნავს, რომ მატულობს ფრანგების რიცხვი, რომელთაც სურთ ალჟირის პრობლემა გადაჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებით და რომ მხოლოდ „ალჟირის დამოუკიდებლობის უფლების აღიარებით გახდება შესაძლებელი დაიწყოს ეს მოლაპარაკება და საფრანგეთსა და ალჟირს შორის დამყარდეს ახალი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედება თავისუფალი თანხმობა, ურთიერთ ინტერესების პატივისცემა და ორი ხალხის მეგობრობა“.

„ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, — ნათქვამია რეზოლუციაში, — საჭიროა მთელი სიმტკიცით ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის ალჟირში, რადგან ომი რომელიც დიქტატურას იწვევს, ქმნის ფაშიზმის საფრთხეს და წარმოშობს სიღატაკეს“;

პლენუმმა გამოააშკარავა გეგმები რეაქციისა, რომელიც ისწრაფვის თავისი პოლიტიკა მოახვიოს თავს ხალხის მასებს, „იძულებისა და დემაგოგიის გზით“.

„კონსტიტუციური რეფორმა, რომელსაც დე გოლი მოითხოვს, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — სწორედ ამ მიზანს ისახავს. 5 ოქტომბრის რეფერენდუმი მიჩადი პლებისციტია. როგორც ერთისა, ისე მეორის მიზანია შესაძლებელი გახადოს ომისა და სიღატაკის პოლიტიკის გაძლიერება, პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებდა ყველა მთავრობა, რომელნიც ერთმანეთს ცვლიდნენ 11 წლის განმავლობაში“.

პლენუმმა დაგმო პოლიტიკა, რომელსაც განსაზღვრავს ანტიკომუნიზმი და რომელიც იმას იწვევს, რომ „მხედველობაში აღარ მიიღონ 6 მილიონი ფრანგის ხმები, ჩამოაშორონ მათი წარმომადგენელნი სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაში მონაწილეობას“. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მემარჯვენე სოციალისტებს, და განსაკუთრებით გი მოლეს, რომელნიც მუდამ არღვევენ ამომრჩეველთა ნებას და სპასარმენტო წყობილებას პრინციპებს, უარს ამბობენ დაეყრდნონ მუშათა კლასს და დაამყარონ კავშირი კომუნისტურ პარტიასთან.

„არეულობისა და მთავრობის უმწეობის დაძლევის საშუალება ის კი არ არის, რომ გარიყონ დემოკრატია, — ნათქვამია რეზოლუციაში, — არამედ პირიქით, ის, რომ უზრუნველყონ მისი ნორმალური მოქმედება და აღადგინონ ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისცენ მუშათა კლასსა და მის პარტიას სხვებთან ერთად მათი კუთვნილი ადგილი პარლამენტსა და მთავრობაში...

ასეულ ათასობით ქალი და კაცი დაირაზმა მძლავრი დემონსტრაციისათვის დემოკრატიის დასაცავად. ეს მოძრაობა იზრდება და კეთილად გაიზრდება.

ეს მოძრაობა უდიდეს ამოცანებს ისახავს: შეიქმნას რესპუბლიკის დაცვის ათეულ ათასობით კომიტეტი, არჩეული დემოკრატიული გზით, რომელნიც შეძლებენ დაუყოვნებლივ გაუწიონ წინააღმდეგობა დაშინების ან ძალადობის ყოველგვარ ცდას ფაშისტების მხრივ; ამ კომიტეტების მეოხებით მილიონობით ფრანგი 5 ოქტომბერს შეძლებს „უარყოს დიქტატურა და ფაშიზმი, უარყოს ომი და სიღატაკე“.

ამ ბრძოლის გამარჯვების საწინდარია მუშათა კლასის ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს კომუნისტების, სოციალისტების ერთიანობა, მთელი დემოკრატიული და ეროვნული ძალების გაერთიანება მუშათა კლასის გარშემო.

პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 11 ივნისი. (საკდესი). პარიზის პრესა დღეს შეშფოთებით უყურებს კომენტარს რეზოლუციას, რომელიც გუშინ მიიღო ალჟირის „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტმა“ და რომელიც გაეგზავნა საფრანგეთის მთავრობის მეთაურს დე გოლს.

ამ რეზოლუციაში პუტჩისტები ულტიმატუმური ფორმით აყენებენ მთელ რიგ მოთხოვნებს. პირველ რიგში ისინი მოითხოვენ გაუქმდეს კანონი ალჟირის ადმინისტრაციული მოწყობის საფუძვლების შესახებ, გაუქმდეს ძირითადი ადმინისტრაციული დაწესებულებანი — ალჟირის საქმეთა სამინისტრო, სპაჰის საქმეთა სამინისტრო და სხვ. კომიტეტის წევრები დაჟინებით მოითხოვენ „ალჟირის სრულ შეერთებას მეტროპოლიასთან“ და ისწრაფვიან სრული კონტროლი დაიწესონ ალჟირის ეკონომიკისა და მართვისადმი.

უფრო მეტიც, კომიტეტის წევრებმა, რომლის ხელმძღვანელია პუტჩის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გენერალი მასიუ, აშკარად მოითხოვეს საფრანგეთში ყველა პოლიტიკური პარტიის „მოსპობა“, გულისხმობენ რა უწინარეს ყოვლისა კომუნისტური და სხვა მემარცხენე პარტიების აკრძალვას.

როგორც პრესა აღნიშნავს, ეს „ულტიმატუმი“ დე გოლს გაეგზავნა გენერალ სალანის თანხმობით და მეშვეობით, რომელიც ახლახან დამტკიცდა საფრანგეთის მთავრობის მთავარ წარმომადგენლად ალჟირში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ცხადი ხდება, დე გოლი, რომელიც წინათ თავს იკავებდა ალჟირის „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის“ აშკარა დაგმობისაგან, დღეს იძულებული გახდა დაეგმო იგი არაპირდაპირი ფორმით. სალანის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში დე გოლი რეზოლუციას ახასიათებს, როგორც „არადროულსა და სამწუხარო“ დოკუმენტს, აგრეთვე მოუწოდებს „სიმშვიდისაკენ“.

პუტჩისტებმა გადაწყვიტეს პარაზს გაგზავნონ თავისი დელეგატები. დღეს კომიტეტის დელეგაცია 8 კაცის შემადგენლობით დედაქალაქში ჩამოვიდა.

საფრანგეთის პრესა მეტად მკვეთრად გამოეხმაურა პუტჩისტების ულტიმატუმს. ბევრი ბურჟუაზიული გაზეთიც კი გმობს მათს მოქმედებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კომიტეტს“ უფლება არა აქვს განსაზღვროს საფრანგეთის ეროვნული პოლიტიკა.

მემარცხენე პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეამბოხეთა საქმიანობის აქტივიზაცია ქმნის საფრანგეთში ფაშისტური რეჟიმის დამყარების საფრთხეს.

გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს: „მეამბოხეთა შტაბმა გააფრთხილა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რომ „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტები“ თავის საქმიანობას გაავრცელებენ მეტროპოლიაზე, რომ ისინი არ დათანხმდებიან არავითარ კომპრომისს მიზნების მიმართ, რომლების მიღწევაც მათ დაფიცეს. ეს მიზნები განსაზღვრულია სრულიად მოურიდებლად: საქმე ეხება მოთხოვნას პოლიტიკური პარტიების დაშლის შესახებ“. „ერთი სიტყვით, — დაასკვნის „ლიბერასიონი“, — ისინი ისწრაფვიან რესპუბლიკა ფაშიზმს დაუმორჩილონ. სურთ თუ არა სურთ, მაგრამ რესპუბლიკური საფრანგეთი ნამდვილად გამოწვეულია ბრძოლაში“.

გაზეთი „ლუმანიტე“ დღევანდელ ნომერში მოუწოდებს ხალხს გაერთიანდეს და მტკიცედ გამოვიდეს რესპუბლიკის დასაცავად.

მდგომარეობა ღიბანში

ბეირუთი, 11 ივნისი. (საკდესი). ლიბანის თავდაცვის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ განვლილ დღე-ღამეში ლიბანის ავიაცია პატრულობდა ლიბანის მთელ ტერიტორიას და მონწილეობას იღებდა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

შუფის მთის რაიონში მედგარი ბრძოლები გაჩაღდა აჯანყებულთა წინააღმდეგ ქალაქ ბარუქის მახლობლად. ავიაცია დახმარებას უწევდა მთავრობის ჯარებს აჯანყებულთა რაზმების იერიშების მოგერიებაში.

კვლავ გაჩაღდა ბრძოლები ქალაქ ტრიპოლში არმიის ნაწილებსა და აჯანყებულებს შორის, აგრეთვე ქალაქ ჰალბისა და დასახლებულ პუნქტ გპამინის რაიონებში. ბრძოლები ამ რაიონში გუშინ გვიან ღამემდე გაგრძელდა.

პრესის ცნობებით, აჯანყებულთა რაზმები ჯუმლათის ხელმძღვანელობით შეტევაზე გადავიდნენ და წარმატებით მიიწევენ წინ შუფისა და ცენტრალური ლიბანის მთის მასივის გადალახვით.

გაზეთი „ტელეგრაფი“ აღნიშნავს შუფის რაიონში ბრძოლების მედგარ ხასიათს. ორივე მხრივ არიან მოკლულნი და მრავალი დაჭრილი. ქალაქ რაიაქში (ბექაას ხეობა) ააფეთქეს რკინიგზის ვაკისი. ბეირუთში გრძელდება გაფიცვა.

ბეირუთი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ლიბანში გამოიცა პრეზიდენტის დეკრეტი, რომლის თანახმად ყოველი სახელმწიფო მოხელე დათხოვნილ იქნება სამუშაოდან, თუ შევიდა რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში, ითანამშრომლა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, ხელი მიჰყო პოლიტიკურ მოღვაწეობას ან მონაწილეობა მიიღო გაფიცვებში.

ბეირუთი, 11 ივნისი. (საკდესი). პრესის ცნობით, ლიბანის პრემიერ-მინისტრმა სამი სოლჰმა იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა წერილობითი მითითება და მოსთხოვა აღძრას სასამართლო ძიება „ეროვნული ფრონტის“ ლიდერის საიბ სალამისა და „მისი თანამშრომლების“ წინააღმდეგ, ბრალად დასდოს მათ ეგრეთწოდებული „ძირგამომთხრელი საქმიანობა“.

სოლჰი მოითხოვს საიბ სალამის მიცემას სამხედრო ტრიბუნალის სამართალში.

ბეირუთი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტელეგრაფი“ იუწყება, ლიბანის დელეგაციის ორი წევრი, დანიშნული იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე საჩივრის განხილვის დროს უშიშროების საბჭოში, იბრაჰიმ ადაბი და ნადიმ დიმაშქიე გადადგნენ.

ეს გადაწყვეტილება, აღნიშნავს გაზეთი, მათ მიიღეს მას შემდეგ, რაც გაეცნენ დაწვრილებითს მოხსენებას არაბთა ქვეყნების ლიგის საბჭოს სხდომების შესახებ.

მდგომარეობა ალჟირში

პარიზი, 11 ივნისი. (საკდესი). ალჟირში გრძელდება სისხლისმღვრელი ბრძოლები ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიასა და საფრანგეთის ჯარებს შორის. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი დღეღამის ბრძოლების შედეგად მოკლულია 16 და ტყვედ წაყვანილია 18 აჯანყებული. საფრანგეთის ჯარებში დაჭრილია 5 კაცი, აქედან 1 ოფიცერი.

აჯანყებულთა წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში საფრანგეთის ჯარები ფართოდ იყენებენ ავიაციას. გუშინ გამოქვეყნდა საფრანგეთის ჯარების შტაბის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მხოლოდ ერთ კვირაში, 2-დან 8 ივნისამდე, საფრანგეთის სამხედრო ავიაციამ მოახდინა 1.983 გაფრენა, ◦ აქედან 618 საბრძოლო.

ამერიკის აგომგულის იარაღის გამოცდა წყნარ ოკეანეში

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის ინტერნეიშნლის კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, რომ 10 ივნისს შეერთებულმა შტატებმა მოახდინეს ატომგულის იარაღის კიდევ ერთი აფეთქება წყნარ ოკეანეში.

ეს არის მეხუთე აფეთქება ატომგულის იარაღის გამოცდის სერიაში, რომელიც 28 აპრილს დაიწყო.

რუსთაველი. მთავარი პროსპექტის ხედი. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესის დელეგატები თბილისში

დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ქართველი ქალები ვენაში ამას წინათ დამთავრებულ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესის გადწყვეტილებებს. სულით და გულით, მთელი ფიქრებით ისინი იყვნენ კონგრესის მონაწილეებთან ერთად, რომელმაც დასახა მშვიდობისათვის, ქალთა უფლებებისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის შემდგომი ბრძოლის გზები.

გუშინ, 12 ივნისს, საქართველოს დედაქალაქის ქალთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გულითადად შეხვდნენ ვენის კონგრესის დელეგატთა ჯგუფს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით. მოსკოვიდან „ტუ-104“ თვითმფრინავის მოსვლამდე ეფრინა ხნით ადრე თბილისის აეროდრომზე შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მუშა და მოსამსახურე ქალები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე, საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი ნ. ჯავახიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქუთათელაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, თ. მრეველიშვილი, ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ რედაქტორი თ. აბაშმაძე, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი გ. რაქველიშვილი და სხვები.

თვითმფრინავიდან გამოდიან ვენის კონგრესის დელეგატები, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად მიესალმებიან, მეგობრულად ეხვევიან, ხელს ართმევენ. სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

ჩამოსულთა შორის არიან ქალთა მძიმრაობის აქტიური მოღვაწეები არგენტინიდან, ურუგვაიდან, კუბიდან, სალვადორიდან. ისინი მონაწილეობდნენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ქალებთან შეხვედრაში, რომელიც მოეწყო კრემლის დიდ სასახლეში და რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესის შედეგებს.

ჩამოსვლის დღეს სტუმრები ეცნობოდნენ თბილისს. დიდი შთაბეჭდილება დატოვა მათზე საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერებამ. გუშინ ისინი დაესწრნენ სპექტაკლ „გორდას“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. (საკდესი).

„დიზერატორული აქარა“ № 2

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანოს ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მეორე ნომერი. ჟურნალი იხსნება შ. როყვას ლექსით — „ლენინი“. ჟურნალში მოთავსებულია ჯ. ჯაყელის, ლ. ველაძის, პ. აბრამიას, ი. მელიას, რ. ართილაყვას, ზ. გორგილაძის, ვლ. სეიდაშვილის, თ. რამიშვილის, აკ. ჩხაიძის ლექსები.

ჟურნალი აქვეყნებს ქართველი პროზაიკოსების მ. გორგილაძის, თ. გოგოლაძის, ს. ყიფიანის ნაწარმოებებს. აქვეა დაბეჭდილი ა. ტალიცისის, ო. ქეშელის, სტენდალის, ა. დოდეს მოთხრობების თარგმანები.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია სტატიები ალ. ჩავლეიშვილისა — „ვ. ი. ლენინი და ლიტერატურა“ და მ. ნადირაძისა — „აჭარაში მომუშავე პოეტები და ხალხური შემოქმედება“.

განყოფილება „მწერლის არქივიდან“ წარმოდგენილია პაოლო იაშვილის ორი ლექსით.

ჟურნალს აქვს განყოფილებები „დღეები და ადამიანები“, „ქართული კულტურის დიდი ზეიმი“, „ლიტერატურული კალენდარი“, „მოგონებანი“ და „წიგნის თაორო“.

მწერალთა კავშირში

დღეს, საღამოს 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართება დისკუსია თემაზე: „თანამედროვეობის თემატიკა ქართულ დრამატურგიაში“ (მომხსენებელი შ. აფხაიძე).

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები, რეჟისორები, მსახიობები.



სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პოეტ გიორგი კაჟახიძის რჩეული ლექსების წიგნი. ეს წიგნი ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშია პოეტისა მკითხველების წინაშე. აქ შეხულია ლექსები, პოეტის შემოქმედების პირველი პერიოდით დაწყებული და ბოლო წლების ნაწარმოებებით დამთავრებული, სულ 167 ლექსი.

წიგნი, რომლის რედაქტორია თ. გოგოლაძე, ლამაზად არის გამოცემული. მისი ტირაჟია 3.000 ცალი. ფასი 6 მან. 10 კაპ.

გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „სოფლის მეურნეობა“ — გაზეთ „კომუნისტის“ დამატება.

ხელმოწერა გრძელდება 1958 წლის ბოლომდე.

ხელისმოწერის პირობები:

1 თვით — 1 მან. 20 კაპ.
2 „ — 2 მან. 40 კაპ.
3 „ — 3 მან. 60 კაპ.
6 „ — 7 მან. 20 კაპ.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის კანტორებში. განყოფილებებსა და საგენტოებში, კოლმეურნეობათა ფოსტალიონებთან და პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ქალაქ თბილისში 15-დან 20 ივნისამდე ეწყობა შიდარესპუბლიკური ბაზრობა საქონლის ბითუმად გაყიდვისათვის. ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციები, საქართველოს სსრ მუშათა მომარაგების განყოფილებები და სამრეწველო საწარმოები.

გასაყიდად ფართო ასორტიმენტით იქნება წარმოდგენილი სამრეწველო და სასურსათო საქონელი. ბაზრობა ეწყობა რკინიგზელთა მხატვრული აღზრდის სახლში, პლეხანოვის პროსპექტი № 127-ა.

საქართველოს სავაჭრო-ხაზუამავლო და სასაქონლო ექსპერტიზის კანტორა.

ტელეგადაცემათა პროგრამა 14 ივნისისათვის

19.30 — გადაცემა ბავშვებისათვის, სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი“ № 11, 20.10 — ალფრედ ვერი — „მეექვსე სართული“ — სატელევიზიო დადგმა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის საკურსო სპექტაკლის მიხედვით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. დიალექტიკური მატერიალიზმის განყოფილების გამგე — 1, 2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 3, 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნახევარ განაკვეთზე — 2.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი და ავტობიოგრაფია, ბ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის და სამეცნიერო წოდების და ხარისხის დამტკიცების დოკუმენტების შემოწმებული პირები, გ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ხელმოწერილი დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზაციის მდივნის ან ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ, დ) სამეცნიერო შრომების სია და მთავარი სამეცნიერო შრომების ამონაბეჭდი.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 29, ტელეფონი 3-58-60.

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

როგორც ვიუწყებოდით, 11 ივნისს შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ტური. ოთხივე ქვეჯგუფში შეხვედრები შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა.

პირველ ქვეჯგუფში ყველაზე უკეთესი მდგომარეობა მსოფლიო ჩემპიონის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კოლექტივს აქვს, რომელმაც მეორე ტურში ჩეხოსლოვაკიის გუნდთან მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრა. არგენტინისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების შეჯახება დამთავრდა არგენტინელთა გამარჯვებით 3:1. ამრიგად, პირველ ქვეჯგუფში დღეისათვის მდგომარეობა ასეთია: დასავლეთ გერმანიის გუნდს აქვს 3 ქულა, არგენტინისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებს — ორ-ორი ქულა, ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 1 ქულა.

მეორე ქვეჯგუფში 3 ქულით წინ არის იუგოსლავიის გუნდი. ფრანგმა ფეხბურთელებმა დამარცხება განიცადეს იუგოსლავიის გუნდთან 2:3. პარაგვაის გუნდს, რომელმაც მოუგო შოტლანდიის ფეხბურთელებს 3:2, 2 ქულა აქვს ამდენივე. აქვს აგრეთვე საფრანგეთის გუნდს. შოტლანდიის ფეხბურთელებს 1 ქულა აქვთ.

მესამე ქვეჯგუფში 12 ივნისამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით წინ იყვნენ შვეციისა და უელსის გუნდები (ორ-ორი ქულა). მექსიკისა და უელსის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

მეოთხე ქვეჯგუფის გუნდებს შორის ბრძოლა საერთო ინტერესს იწვევს. აქ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ბრაზილიისა და სსრ კავშირის გუნდებს — სამ-სამი ქულა. ინგლისის გუნდს 2 ქულა აქვს, ავსტრიისას — 0 ქულა, ინგლისისა და ბრაზილიის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0. ამ ქვეჯგუფში მეოთხედფინალში გასვლის საკითხს გადწყვეტს 15 ივნისის მატჩები ბრაზილიისა და სსრ კავშირის, აგრეთვე ინგლისისა და ავსტრიის გუნდებს შორის.

საერთაშორისო მატჩები

ფინეთში წარმატებით გამოდის ლენინგრადის „ადმირალტეეცის“ ფეხბურთელთა კოლექტივი.